ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

!* 2 !( st,thdfkb7 @)!@ 141 (5731) afcb5 #) stshb

!* სფ,ფჰდკბლფყ
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
დეშილ ჰემეთი
• მინის გასაღები. • უაზრო საქმე.
შემდეგი — ბორის აკუნინი
ლევიათანი
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი





# რატომ დაწყევლა მაჭავარიანმა ჯონდი ბაღათურია?

გვ.2



## შალვა ნათელაშვილი: არჩევნები არჩევნებამდე უნდა მოვიგოთ

გვ.2



## კახა კუკავა: ივანიშვილი ხელისუფლებას არ ებრძვის“

გვ.4



## რას უწუნებენ ივანიშვილის ახალ გუნდს

გვ.3



## ბურჯანაძე მესამე ძალის შექმნას არ აპირებს

გვ.2



პოლიტიკური ბლოკების შექმნაზე საუბარს ის სჯობია, აზიზიეს მეჩეთს მიეხედოთ!



## გიორგი გაჩეჩილაძე: „გოგლა ლეონიძის ჩემთვის დათუნია კანფეტები მოუქონდა“

გვ.5



## იური მეჩითოვი: „ყველაფერში ევროპის მიბაძვა არ ღირს“

გვ.6

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ხბყუბპ .ფტყბ
* კფჰბ
! სფ,ფჰდკბლფყ



# ბურჯანაძე მესამე ძალის შექმნას არ აპირებს

## პოლიტიკური ბლოკების შექმნაზე საუბარს ის სჯობია, აზიზიეს მეჩეთს მივხედოთ!

თეა მარხვაიძე

**გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში მესამე პოლიტიკური ცენტრი უნდა შეიქმნას. ამ ცენტრს, სავარაუდოდ, კახა კუკავა და ლევან გაჩეჩილაძე შექმნიან. თავიდან იყო საუბარი, რომ ამ ერთობას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც შეუერთდებოდა. რამდენიმე დღის წინ მან თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ხელის შეშლას არ აპირებს.**

აპირებენ თუ არა მესამე ცენტრის შექმნას, ვისთან გაერთიანდება სახალხო კრება და რა უფრო მნიშვნელოვანია ამ სიტუაციაში, „ახალ თაობას“ ამ თემებზე „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი თამარ ცინცაბაძე ესაუბრება.

***– თქვენი პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ სახალხო კრება ბიძინა ივანიშვილს ხელს არ შეუშლის. ამ დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ მესამე ძალის შექმნას აპირებთ, რომელიც, ექსპერტების თქმით, ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. საზოგადოება ცოტა გაურკვევლობაშია და იქნებ გვითხრათ, რას აპირებთ?***

– ვიღაცას შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მესამე ძალის შექმნას ვაპირებდით, თუმცა, არასდროს გვისაუბრია მესამე ძალის შექმნაზე. დანამდვილებით ვაცხადებ, რომ მესამე ძალის შექმნაზე ჩვენი მხრიდან არანაირი განცხადება არ ყოფილა გაკეთებული. ჩვენ არასდროს ვაპირებდით ამ ძალის შექმნას.

***– ამ შემთხვევაში სახალხო კრებას გულისხმობთ თუ დემოკრატიულ მოძრაობას?***

– ორივეს. ჩვენ გაწევრიანებული ვართ სახალხო კრებაში. კრებისა და ჩვენი მიზანი არ ყოფილა მესამე ძალის შექმნა. ჩვენი მიზანი იყო იმ საშინელი მდგომარეობის გამოსწორება, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. ხალხს წართმეული აქვს მთავარი უფლება. მას არა აქვს შანსი, თავად აირჩიოს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მას სურს. აი, ამ უფლების დასაბრუნებლად შეიქმნა სახალხო კრება.

***– თუმცა, ამ მიზანს ჯერ ვერ მიაღწიეთ....***

– მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ბრძოლა არ შეგვიჩერებია და არც ვაპირებთ ამ ბრძოლის შეჩერებას, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მესამე ძალას შევქმნით. ჩვენ ყველას დავუდგებით გვერდში, ვინც რეალურად აპირებს ამ რეჟიმის შეცვლას. ჩვენ გვინდა, რომ რეალურად შეიცვალოს ეს რეჟიმი და არ მოხდეს ჩანაცვლება.

***– რა ფორმებით აპირებთ თანამშრომლობას?***

– ეს კონსულტაციებით უნდა გადაწყდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ოპოზიციისთვის ხელის შეშლას არ ვაპირებთ.

***– საპროტესტო აქციების გამართვა თუ იგეგმება? ითქვა, რომ შესაძლოა აქციები ისევ დაიწყოთ.***

– აქტიურობა ჩვენი მხრიდან ნამდვილად იქნება. გავაკეთებთ განცხადებებს, გავმართავთ პრესკონფერენციებს, ყველგან დავაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, არც აქციებს მოვერიდებით. გააჩნია, როდის რა ღონისძიება იქნება ჩასატარებელი. აქციების ჩატარება მნიშვნელოვნად მიმაჩნია. აქციები საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად უნდა ჩავატაროთ. ამაში მონაწილეობა მთელმა ოპოზიციამ უნდა მიიღოს. ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ, არჩევნებამდე შევაცვლევინოთ ხელისუფლებას საარჩევნო გარემო. დღევანდელი საარჩევნო კანონმდებლობა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წინაპირობას არ იძლევა. ამაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ. არჩევნების შემდეგ გამოსვლები შეიძლება ძალიან დაგვიანებული იყოს.

***– თქვენ ამბობთ რომ მესამე ძალას არ შექმნით. თუ შეიქმნა ის მესამე ძალა, ითანამშრომლებთ მათთან?***

– ამ ეტაპზე არანაირ წინასაარჩევნო ბლოკებზე საუბარი არ მიდის და ამ თემაზე საუბარი, ჩემი აზრით, ნაადრევია.

***– რატომ არის ნაადრევი? არჩევნები კარს არის მომდგარი.***

– არჩევნები შორს არ არის, მაგრამ ახლა ჩვენ წინაშე გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხები დგას.

***– რას გულისხმობთ?***

– პირველ რიგში იმას, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება სჭირდება. მნიშვნელოვანია საარჩევნო სიების გადამოწმება, რომლებიც ამ ხელისუფლებამ მკვდარი სულებით აავსო. დემოკრატიულმა მოძრაობამ ოპოზიციას სთხოვა, ამ სიების გადამოწმების გარშემო გაერთიანებულიყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენი წინადადება გაზიარებული არ არის. ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. ამიტომ მიმაჩნია ნაადრევად საარჩევნო ბლოკებზე საუბარი. ამის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია აზიზიეს მეჩეთის საკითხი, რომელიც ხელისუფლებამ ხალხს თავს მოახვია. ხელისუფლება არავის რჩევას არ ითვალისწინებს. მას არც საპატრიარქოს აზრი აინტერესებს. ამ მეჩეთის მშენებლობა არ შეიძლება. ამან შესაძლოა დიდი პრობლემები შექმნას.

***– რა პრობლემები გაქვთ მხედველობაში?***

– ამის გამო შესაძლებელია მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს შორის მოხდეს დაპირისპირება. ხელისუფლებას ეს არ ადარდებს. ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ასეთი ქმედებების შესაჩერებლად. ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე საარჩევნო ბლოკების შექმნა, თანაც, თუ საარჩევნო გარემო არ გაუმჯობესდება, არჩევნები აზრს დაკარგავს და, როგორც უკვე ვთქვი, არჩევნების შემდეგ ქუჩაში ხალხის გამოყვანა, შესაძლოა, უაზრო გახდეს.



# რატომ დაწყევლა მაჭავარიანმა ჯონდი ბაღათურია?

თეა მარხვაიძე



**საქართველოს პარლამენტში ამ კვირაში ნამდვილი ჯონდიანა დატრიალდა. ოპოზიციონერმა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ ნაციონალებს ნერვები მოუშალა და სისხლი გაუშრო. კვირის დასაწყისში ისეთები ჩაიდინა, მაჭავარიანს თავისი მანდატურები გაეროს დამკვირვებლებში აერია. 17 თებერვლის სხდომაზე კი აღშფოთებული ვიცე-სპიკერი წყევლა-კრულვაზე გადავიდა. პარლამენტის რეგლამენტი კი ოპოზიციონერი კოლეგის დაწყევლას ნამდვილად არ ითვალისწინებს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია. რომ წყევლა ბაღათურიას მხრიდან რეგლამენტის ნორმის დარღვევას მოჰყვა.**

რეგლამენტით გაუთვალისწინებელი საქმიანობა მაჭავარიანმა ბაღათურიას აქტიურობის საპასუხოდ განახორციელა. ვინც მშობლიური პარლამენტის სხდომებს თვალს ადევნებთ, გეცოდინებათ, რომ ბაღათურია ყველა საკითხზე აკეთებს განცხადებას. პარლამენტის წინაშე არაერთი ინიციატივით წამდგარა. სადაც სამართალია, ჯონდი რომ არ იყოს დეპუტატი, ამ პარლამენტში მოწყენილობით დაიხოცებოდნენ. ხანდახან ნუგზარ წიკლაურიც აახმიანებს ხოლმე დარბაზს, მაგრამ ჯონდიანასთან რას მოვა.

მიხეილ მაჭავარიანი ამ კვირაში დეპუტატს ძალიან მწარედ გადაეკიდა. კვირის დასაწყისში მანდატურებს მისი გარეთ გაძევებაც კი მოსთხოვა მხოლოდ იმის გამო, რომ ის ხმამაღლა ყვიროდა და თითებს იქნევდა. არადა, მას მსგავსი არაფერი მოუთხოვია, როცა გასული წლის სექტემბერში აკაკი ბობოხიძემ პეტრე მამრაძეს მუშტი გლიჯა და შოთა მალაშხიაც მუშტზე იყურებოდა. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ნაციონალს კრივის რინგის მოწყობის უფლება აქვს, რატომ არ უნდა გაიშვიროს ოპოზიციონერმა რომელიმე მიმართულებით თითი?

მოდით, ახლა ისევ წყევლას დავუბრუნდეთ.

მიხეილ მაჭავარიანმა ბაღათურია იმის გამო დაწყევლა, რომ ეს უკანასკნელი კანონპროექტების შინაარსს არ კითხულობს და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი კანონპროექტის განხილვისას მის მიერ გამოთქმული შენიშვნები იმავე კანონპროექტის არსს არ უკავშირდება.

ბაღათურია ბრალდებას არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მისი თანაფრაქციელების მსგავსად, პლენარულ სხდომაზე გასატან ყველა კანონპროექტს ისიც ყურადღებით ეცნობა.

– მაგ სიმართლით იარე შენ, – მიაწყევლა ბაღათურიას მაჭავარიანმა.

ამ წყევლამ ოპოზიციონერი დეპუტატი გააბრაზა. დაწყევლილმა ბაღათურიამ მაჭავარიანი მისი დისკრედიტაციის მცდელობაში დაადანაშაულა.

– ჩემი გამოსვლების შემდეგ ცინიკურ და კომიკურ კომენტარებს აკეთებთ და ჩემს დისკრედიტაციას მიზანმიმართულად ცდილობთ. ამით კი რეგლამენტს არღვევთ. მე აღვნიშნე, რომ ჩვენი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ კანონპროექტებს კითხულობს. გთხოვთ, ჩემი გამოსვლების შემდეგ რეპლიკებს თავი დაანებოთ, – მიმართა ბაღათურიამ მაჭავარიანს და აღნიშნა, რომ მსგავსი რეპლიკები უხერხული და უკანონოა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მაჭავარიანმა კოლეგა დაწყევლა. ეს წინა მოწვევის პარლამენტში მოხდა. გახსოვთ ალბათ, რა ამბები ატყდა შალვა რამიშვილის დაპატიმრების გამო. მოგეხსენებათ, რომ ის კობა ბექაურის ჭიპზე მიმაგრებული ფარული კამერის გამო დააკავეს. მაშინ ათას რამეს ამბობდნენ. ითქვა, რომ კობა ბექაური რაღაც მაქინაციაში იყო გახვეული და მის უკან მაჭავარიანი იდგა. ამის შესახებ განცხადება მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემ გააკეთა.

მაჭავარიანმა ის ამის გამო ბიუროს სხდომაზე მიაწყევლა და თქვა, მაგ სიმართლით იარეო. სხვათა შორის, იმ საღამოს მაჭავარიანის მეუღლე ავტოავარიაში მოყვა. საბედნიეროდ იგი უვნებელი გადარჩა.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ მაჭავარიანმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში საჯარო წყევლის გამო და აგერ უკვე მერამდენე წელია მის ბაგეს აღარ დასცდენია: „მაგ სიმართლით იარე...“

ახლა რაც შეეხება წყევლაგადატანილ დეპუტატს. მის სასარგებლოდ უნდა იქვას, რომ საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა და ინტერვიუს-ინტერვიუზე იძლეოდა (ვიცე-სპიკერის წყევლას უკუეფექტი ჰქონია).

– მე მაჭავარიანის წყევლის არ მეშინია. მხოლოდ ღმერთის შიში მაქვს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში დეპუტატმა.

მისი თქმით, ბოლო დროს ნაციონალები ძალიან აგრესიულად იქცევიან და ეს იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ცუდ დღეში არიან. ნაციონალები კი ამტკიცებენ, რომ ბაღათურია შარზეა.

– ვინც პარლამენტის სხდომებს თვალს ადევნებს, კარგად ხედავს, რომ შარზე ნაციონალები არიან. აშკარაა. რომ ისინი ხელოვნურად ცდილობენ ჩემთან დაძაბულობის შექმნას. ამას უფროსობის თვალში ქულების დაწერის მიზნით აკეთებენ, – აცხადებს ბაღათურია, რომელიც განსაკუთრებით მაჭავარიანის აგრესიით არის გაკვირვებული.

– აშკარა და თვალშისაცემია, რომ მაჭავარიანი ბოლოს ძალიან აგრესიულად იქცევა. ის აგრესიას ავლენს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა განათლების სფერო, – აღნიშნავს ბაღათურია.

ამ კვირაში ვიცე-სპიკერმა თავი მართლაც სერიოზულად გაინერვიულა. მას არც თავისი კოლეგები ჩამორჩნენ. ნაცმოძი მართლაც აგრესიულად გამოიყურება. პრინციპში, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს. ბოლო დროს მათ ბევრი უბედურება დაატყდათ თავს. ივანიშვილის ოპოზიციაში გადაბარგება ხუმრობა საქმე სულაც არ არის.

ამას დაუმატეთ ის, რომ კინაღამ უმცირესობა დაიშალა. რომელსაც უმრავლესობამ დეპუტატი კურდღელაშვილი „შესწირა“.

გია ცაგარეიშვილს თუ დავუჯერებთ, ორშაბათს ანუ 13 თებერვალს პრეზიდენტს უმრავლესობა გაულანძღავს. ალბათ იცით, 13 თებერვალს პრეზიდენტი დახურულ კარს მიღმა რომ ემუსაიფა თავის ნაციონალებს. ცაგარეიშვილი ამტკიცებს, ეს მუსაიფი სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაზრდილა.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ მათთვის ცნობილია ის ეპითეტები, რითაც სააკაშვილი ნაცმოძს ამკობდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მმართველ გუნდს მძიმე კვირა ჰქონდა და რა გასაკვირია თუ ეს სამუშაო კვირა წყევლით დასრულდა.

# შალვა ნათელაშვილი: არჩევნები არჩევნებამდე უნდა მოვიგოთ“



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, მათი მთავარი ამოცანა არჩევნების არჩევნებამდე მოგებაა, „რადგან დღეს საქართველოს ყავს ხელისუფლება, რომელიც უკანონოდ შეიჭრა პარლამენტის შენობაში და ქვეყანას სათავეში ისე ჩაუდგა.“

ეს განცხადება ლეიბორისტების ლიდერმა პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე გააკეთა. მისი თქმით საქართველოში დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრების ტრადიციამ ელექტროენერგიის გადასახადის ზრდა და სკოლების ნაცვლად პოლიციის შენობებისა და საავადმყოფოების მშენებლობა გამოიწვია. „ლეიბორისტების“ ლიდერის თქმით, საქართველოს ისეთი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც მოსახლეობას პოლიციამდე და საავადმყოფომდე არ მიიყვანს. ნათელაშვილმა აქციაზე საქართველოს პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი ჰუმანურია და შესაძლებელია მას მძიმე განაჩენი არც გამოუტანონ. მისივე თქმით, მიტინგები გაგრძელდება და სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

„დღევანდელი აქცია არის ნაწილი იმ დიდი პროცესისა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დასრულებამდე მიგვიყვანს. გაძლევთ პირობას, რომ ამ პარაზიტების ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, აქ გამარჯვების სუფრას გავშლით“ – განაცხადა ნათელაშვილმა.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლებს უკანონოდ ათავისუფლებენ

შალვა ჯოხაძე

**სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის ინფორმაციით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან ადამიანებს კანონმდებლობის დარღვევით ათავისუფლებენ. ტუღუშის შეფასებით, ასე გაუშვეს თანამშრომლები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან და ჯანდაცვის სამინისტროდან.**

სახალხო დამცველმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს რეკომენდაციით მიმართა, რათა მოქალაქე ხარიტონ შკუბლიანის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება შეისწავლოს



და კანონშესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.

სახალხო დამცველს განცხადებით ხარიტონ შკუბლიანმა მისი შრომის უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით შარშან აპრილში მიმართა. სახალხო დამცველმა გამოითხოვა და შეისწავლა საქმის ამსახველი სრული დოკუმენტაცია.

– შკუბლიანი 2010 წლის 1 დეკემბერს გააფრთხილეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით 2011 წლის 1 იანვრიდან სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2010 წლის 24 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად, შტატების შემცირების გამო 2011 წლის იანვრიდან მოქალაქე ხარიტონ შკუბლიანი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული აპარატის მოსამსახურეთა სიის თანახმად, 2010 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით, შკუბლიანის გათავისუფლებამდე მანდატურის სამსახურში შტატით გათვალისწინებული 19 მოსამსახურე მუშაობდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

თითოეული სამსახურის, მათ შორის, მანდატურის სამსახურის საშტატო ნუსხა განსაზღვრულ იქნა ცალ-ცალკე. შესაბამისად, მანდატურის სამსახურში გათვალისწინებული შტატის დაკავებისათვის განხილული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ამ განყოფილების თანამშრომლების კანდიდატურები და არა სხვა განყოფილების, ამ შემთხვევაში კი საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივნის ან კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილების) საკურიერო სექტორის უფროსის კანდიდატურები. ზემოაღნიშნული პირების პროფესიული და პიროვნული ჩვევების შედარება უნდა მომხდარიყო შესაბამის სამსახურებში არსებულ მოსამსახურეებთან და არა მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

გიორგი ტუღუშის ინფორმაციით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე შკუბლიანის გათავისუფლების მომენტში მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, გათავისუფლების შესახებ ბრძანება დაუსაბუთებელია. ხ.შკუბლიანის გათავისუფლების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებაში არ არის მითითებული, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა მანდატურის სამსახურში მყოფ დანარჩენ 17 მოსამსახურეს, საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივანსა და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილების) საკურიერო სექტორის უფროსს. კერძოდ, შესასრულებელი სამუშაოსთვის რა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობის, პირადული თვისებებისა და სხვა უნარ-ჩვევების საფუძველზე მოხდა უპირატესობის მინიჭება მათთვის.

– ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ არსებობს ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომლითაც დასტურდება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითად დარღვევის ფაქტი, რაც, თავის მხრივ, არღვევს მოქალაქე ხარიტონ შკუბლიანის შრომის უფლებას, – აცხადებს სახალხო დამცველი.

აღსანიშნავია, რომ ორიოდე დღის წინ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, შეისწავლოს მოქალაქე შორენა კუხიანიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

– 2011 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე შორენა კუხიანიძემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ დაირღვა მისი შრომის უფლება.

სახალხო დამცველმა გამოითხოვა და შეისწავლა საქმის ამსახველი სრული დოკუმენტაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით, შორენა კუხიანიძე გათავისუფლდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან. გათავისუფლება გამოწვეული იყო სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განხორციელებული რეორგანიზაციით.

კუხიანიძეს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოში არსებული სამი უფროსი სპეციალისტის შტატით გათვალისწინებული თანამდებობებიდან ეკავა ერთ-ერთი. შესაბამისად, ის, თუ რატომ მოხდა 3 უფროსი სპეციალისტიდან შორენა კუხიანიძის თანამდებობიდან გათავისუფლება და რის საფუძველზე მიენიჭა დანარჩენ 2 სპეციალისტს უპირატესობა, უნდა ყოფილიყო დასაბუთებული ყველა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების მითითებით, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

ომბუდსმენის შეფასებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, ობიექტურად შეეფასებინა შორენა კუხიანიძის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადული თვისების დაკავებული თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას დარღვეული იყო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც წარმოშობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

# რას უწუნებენ ივანიშვილის ახალ გუნდს

## „ყოფილი მოქკავშირელები“, „გაცვეთილი სახეები“ და სხვა „ეპითეტები“ პოზიცია–ოპოზიციისგან

შალვა ჯოხაძე

**ბოლო რამდენიმე დღეა, სატელევიზიო ახალ ამბებსა თუ ბეჭდვით მედიაში ბიძინა ივანიშვილის მომავალი პარტიის 'ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს' საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა აქტიურად განიხილება. ხელისუფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილის გუნდი არ მოსწონთ როგორც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს, ასევე იმ არასაპარლამენტო ოპოზიციასაც, რომელმაც ივანიშვილის სიმპათია ვერ დაიმსახურა. ამ დღეებში 'პრაიმტაიმის' პრესკლუბის სტუმრებმა, გიორგი ახვლედიანმა და ნინო ბურჯანაძემ ივანიშვილისა და მისი პარტიის საინიციატივო ჯგუფზე საკუთარი მოსაზრებების შესახებ ისაუბრეს.**

ქრისტიან-დემოკრატი გიორგი ახვლედიანის თქმით, საეჭვოა ივანიშვილის ახალი გუნდის წარმატებული საქმიანობა, რომელშიც სამი ყოფილი მოქკავშირელია.

დაახლოებით, იგივე კომენტარი გააკეთა დეპუტატმა უმრავლესობიდან, გიორგი გაბაშვილმაც.

ყოფილი მოქკავშირელების გარდა, ახვლედიანი, განსაკუთრებით, რესპუბლიკელებზე ამახვილებს ყურადღებას.

– ივანიშვილის გუნდს რაც შეეხება, მის ძირითად ნაწილს, რომელიც აქამდე აპოლიტიკური იყო, ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. ეს გამოჩნდება უახლოეს პერიოდში. ეს პოლიტიკის კეთება იქნება თუ პოლიტიკაში თამაში, ამას დრო გვაჩვენებს...

ჩვენ ვხედავთ მიმართულებას, რომ ივანიშვილი გახდა „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი. ეს ადამიანი აცხადებს, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ პრობლემა არის ის, რომ საზოგადოებას მისი ლაპარაკი არ მოსწონს. ეს ცოტა გაუგებარია იმიტომ, რომ საზოგადოებამ იცის, რესპუბლიკელებმა ლაპარაკი ნამდვილად იციან. თუ ვინმე იტყვის, ბერძენიშვილმა ლაპარაკი არ იცისო, ეს ძალიან არაადეკვატური შეფასება იქნება. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის გარკვეულწილად მიუღებელია ის ლიბერალიზმი, ის ხედვები და პლატფორმა, რაც „რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს. ბიძინა ივანიშვილი კი პირიქით ფიქრობს, ის ამბობს, რომ თურმე რესპუბლიკელების ლაპარაკი არ მოსწონს ხალხს. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, ალბათ, რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ ისინი იქნებიან წარმმართველი ძალა ივანიშვილის ბლოკში. პოლიტიკას „ქართული ოცნების“ გაერთიანებაში წარმართავენ ისინი. ეს სწორედ ამაზე მიუთითებს, – განაცხადა ახვლედიანმა.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის მოსაზრებებს, თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ის უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ჰქონდა და გარკვეული კონსულტაციები აწარმოა, შემდეგ კი დასკვნაც გააკეთა, ივანიშვილი პოლიტიკაში ვერ ერკვევაო.

– თქვენ გჯერათ, რომ ამ პატარა ქვეყანაში ისე მოხდა ეს ყველაფერი, რომ არავინ არაფერი არ იცის, რაც მთავარია – თავად დიდმა? არ არის საჭირო ასეთი არასერიოზული განცხადებების კეთება. ჩემი შეხვედრა რომ შემდგარიყო ბატონ ბიძინასთან, არ მგონია, ეს დამალული ყოფილიყო. მე არ მითქვამს, რომ მან პოლიტიკა არ იცის, მაგრამ რეალურად რომ არ იცოდეს, რა არის ამაში დასაძრახი? ნუ მოვთხოვთ ნურავის, რომ ყველაფერი იცოდეს.

მე არ მომეთხოვება, რომ ბიზნესი ვიცოდე ისე, როგორც იცის ივანიშვილმა. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი ნიჭიერი ადამიანია და სწრაფად გაივლის იმ ეტაპებს, რაც საჭიროა კარგი პოლიტიკოსობისთვის. ნუ გვექნება მოლოდინი, რომ არიან ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი იციან და არაფერი შეეშლებათ.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ივანიშვილს თავის მართლება არ სჭირ-



დება, თუ რატომ არ ელაპარაკება მას.

– მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვის როდის დაელაპარაკება. მე ამის პრობლემას ვერ ვხედავ. თუკი ივანიშვილი რეალურად შეებრძოლება სააკაშვილის ხელისუფლებას, ჩვენი გზები ან გადაიკვეთება, ან პარალელურ რეჟიმში წავა და კოორდინირება გახდება საჭირო, – აცხადებს ბურჯანაძე.

ახვლედიანის მსგავსად, ბევრ ჟურნალისტსაც განსაკუთრებული გართულება რესპუბლიკელებზე აქვს. ისინი ნინო ბურჯანაძისგან დაინტერესდნენ, რას ფიქრობს იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილი მასთან დიალოგისთვის მზადაა, თინა ხიდაშელი კი ამას გამორიცხავს.

ამ საკითხზე ნინო ბურჯანაძე აცხადებს:

– თუ თინა ხიდაშელი იღებს „ქართულ ოცნებაში“ გადაწყვეტილებას, მაშინ ეს უნდა იცოდეს ქართველმა საზოგადოებამ. ჩემი ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია. თუ ივანიშვილის მაგივრად გადაწყვეტილებებს თინა ხიდაშელი იღებს, ეს უკვე ბიძინა ივანიშვილის პრობლემაა. მე არ მინდა ვთქვა, რომ ივანიშვილი სხვის ჭკუაზე დადის. მას, ალბათ, აქვს გარკვეული არგუმენტები, რატომ არ დგება ჯერ ეს შეხვედრა. მას შეუძლია ღიად განაცხადოს, რომ არ უნდა და არ მხვდება, მაგრამ ნუ დაგვაბრალებენ იმას, რაც არ არის მართალი. ნუ დაგვაბრალებენ ქუჩის აქციებით ხელისუფლების შეცვლის მცდელობას, რაც ტყუილია. ეს ერთ-ერთი მეთოდია.

ნუ დაგვაბრალებენ პრორუსულობას, იმას, რომ დასავლურ ღირებულებებს არ ვიზიარებთ. არ არის საჭირო ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა. თქვას ბიძინა ივანიშვილმა, რომ არ აპირებს შეხვედრას. არ არის პრობლემა. მე ხომ არ მითხოვია არც შეხვედრა, არც, მით უმეტეს, საარჩევნო კოალიციაში შესვლა.

ერთადერთი, რასაც მე ვითხოვ, არის ის, რომ ყველაფერი გავაკეთოთ და სწორი ნაბიჯები გადავდგათ იმისთვის, რომ შევებრძოლოთ ამ ხელისუფლებას.

ევროპული ღირებულებების ერთ-ერთი ქვაკუთხედი არის საპირწონეებისა და ბალანსის პოლიტიკა. ეს მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყანაში. ეს მარტო ხელისუფლებას კი არ ეხება, ჩვენს ქვეყანაში, როგორც ჩანს, ეს ოპოზიციასაც ეხება.

ნამდვილად არ ვიქნებოდი იმის მომხრე, რომ ხელისუფლებაში ერთ ძალას ჰქონდეს მონოპოლიზებული ხელისუფლება, ხოლო ოპოზიციაში გამოჩნდნენ სხვა მესიანისტური ძალები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მარტო მათ აქვთ ოპოზიციაში არსებობის უფლება და სხვა ყველა უნდა გაიკრიფოს.

„შუა უნდა გაიკრიფოს“ – ეს რა ტერმინოლოგიაა? რიგითი მოქალაქე, თუ არც ერთი მოსწონს და არც მეორე, რატომ უნდა დადგეს არჩევანის წინაშე? იქნებ სხვა ძალა სთავაზობს მათ ალტერნატიულ არჩევანს, რომელიც მოსწონს საზოგადოების 5-15%-ს, მაგრამ მას თავისი აზრის გამოთქმის უფლება აქვს. ვერ ვხედავ ახალი კოალიციის წევრების მხრიდან თანამშრომლობის სურვილს. როცა ჩვენმა ახალგაზრდებმა ბრიფინგი გამართეს, გაიხსენეს ვოლტერის ძალიან ცნობილი სიტყვები: მე შენ არ გეთანხმები, მაგრამ თავს გავწირავ იმისთვის, რომ შენი განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება გქონდეს. არის მცდელობა, რომ ვისაც არ ეთანხმებიან, იმას საერთოდ არ მოუსმინონ. იქნებ რა არგუმენტები აქვს ადამიანს, როდესაც ის იკავებს ამ პოზიციას და არა სხვას? ამიტომ თავი დავიზღვიოთ, რომ არ მოგვივიდეს იგივე, რაც მოგვივიდა 2008 წელს, როდესაც მოლოდინი იყო, რომ დემოკრატიის სხივი გადმოვიდოდა საქართველოში და პირველ პერიოდში მნიშვნელოვანწილად ეს ასეც იყო, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ მონოპოლიზაციამ და მასში „თავისუფალი დემოკრატების“ და ჩემი გუნდის ნაწილის შერწყმამ, მოიტანა ის შედეგი, რაც დღეს გვაქვს. მოდით, ძალიან ფრთხილად მოვეკიდოთ განსხვავებულ აზრს.

ნინო ბურჯანაძემ ივანიშვილის მომავალი პარტიის აწ უკვე წარდგენილი სახეების შესახებაც გააკეთა განცხადება. მისი თქმით, მისთვის ამ სახეების ხილვა არ იყო მოულოდნელი. მან ასევე განმარტება გააკეთა იმ საკითხთან დაკავშირებითაც, რომ ივანიშვილის ერთ-ერთი ახალი სახე, ნოდარ ხადური მისი პარტიიდან გადავიდა.

– საქართველო ძალიან პატარაა და ადვილია ინფორმაციის მიღება მაშინაც კი, როცა მას არ ეძებ. ამიტომ, ამ სიის პრაქტიკულად 90% ჩემთვის ცნობილი იყო.

ბატონმა ნოდარ ხადურმა კი წასვლის შესახებ განცხადება დაწერა ამა წლის 9 იანვარს. ტრაგედიას ვერ ვხედავ, რომ ჩვენი პარტიიდან ადამიანები წავიდნენ სხვა პარტიაში. ის, რომ ამ ადამიანებს არ ეშინიათ პარტიიდან წასვლის, ლაპარაკობს იმაზე, რომ, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობისგან“, ჩვენ ვართ დემოკრატიული ძალა და ჩვენს წევრებს აქვთ აბსოლუტური თავისუფლება კონკრეტულ ეტაპზე პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისა. არ არის ეს ტრაგედია. ადამიანი მიდის, სხვა ადამიანები მოდიან, ეს პოლიტიკური ცხოვრების თანმდევი პროცესი გახლავთ. უბრალოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ადამიანებმა მეტი ვაჟკაცობა გამოიჩინონ მიზეზების ახსნასთან დაკავშირებით.

მე ცოტა მომბეზრდა კაცებისგან თავის მართლების მოსმენა. რაღაც პერიოდში მიმაჩნდა, რომ აქ უნდა ყოფილიყავი – ძალიან კარგი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც ამა თუ იმ ადამიანს გაუკეთებია „სახალხო კრებაში“ თუ „დემოკრატიულ მოძრაობაში“. თუ ახლა თვლის, რომ სხვაგან არის მისი ადგილი და სხვაგან უფრო გამოადგება საერთო საქმეს – წარმატებას ვუსურვებ ყველას, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მიმაჩნია, რომ ღირსება უნდა შევინარჩუნოთ და ისე მივუდგეთ საქმეს, თუ მართლა დემოკრატები ვართ, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# კახა კუკავა: ივანიშვილი ხელისუფლებას არ ებრძვის“

შორენა კოწოწაშვილი

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ფიქრობს, რომ ივანიშვილის გუნდს ბრძოლისუნარიანობა აკლია. მისი თქმით, არანაირი სისტემური ცვლილებები არ იგეგმება და სააკაშვილის მიერ გადმოგდებულ ფანდს ოპოზიცია წამოეგო. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ არჩევნები მაისში ჩატარდება, ოპოზიცია მას მოუმზადებელი შეხვდება.**

რისპირება თემატური ჯგუფებით და, ასე ვთქვათ, კორდებალეტებით, ეს არ არის მთლად უპრიანი საქმე, ხოლო ის ბრძოლისუნარიანი რესურსები, რომელსაც რეჟიმისთვის პრობლემების შექმნა შეეძლო, სამწუხაროდ, ერთგვარად დისკრედიტებული აღმოჩნდა საზოგადოებაში. არაერთხელ ითქვა, რომ ქუჩამ თავისი თავი ამოწურა; ქუჩის პოლიტიკოსები უნდა წავიდნენ, დაისვენონ. კი ბატონო, ქუჩის ხალხი დაისვენებს. ვნახავთ, რა შედეგსაც დააყენებს არაქუჩის ხალხი.

***— ანუ სააკაშვილი მიხვდა, რომ ივანიშვილს გვერდით ბრძოლისუუნარო ხალხი ჰყავს და პრემიერის პოსტი გარანტირებული აქვს?***

— კი, მე ვფიქრობ, ზუსტად იგივე ხდება, რაც 2008 წელს გააკეთა. სხვათა შორის, მაშინაც, თებერვალში, როდესაც ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა და სააკაშვილმა ჩათვალა, რომ ოპოზიციას სასუნთქი არტერია გადაუჭრა, მაშინ დანიშნა არჩევნები გაზაფხულზე. ახლანდელი სიტუაციაც ამას ჰგავს. სააკაშვილი ცას – თავისი 10%-ის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველა ყველაფერზე უკვე შეთანხმებულია. მე რაღაც ვერ ვხედავ, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდიოდეს სადმე – ან ეთერში, ან ქუჩაში, ან საზოგადოებაში. ყველა ყველაფერს შეგუებულია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

***— ანუ სააკაშვილის მხრიდან გაკეთებული განცხადება, არჩევნები ოქტომბერში ჩატარდებაო, ოპოზიციისთვის განკუთვნილი ფანდი იყო?***

— რა თქმა უნდა. სააკაშვილმა ხომ ყველა არჩევნები ბოლო წლების მანძილზე ასე ჩაატარა. რომელი არჩევნები ჩაატარა თავის დროზე? – არცერთი.

***— ამერიკაში სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, იმაზე მეტი მივიღე, ვიდრე ველოდიო, იმას ადასტურებს, რომ ობამას ადმინისტრაციასთან მისი შეთანხმება უკვე მოხდა?***

— თუ გახსოვთ, როდესაც ამ თემებზე იყო საუბარი, მე გავაკეთე კომენტარი. მაშინ ივანიშ-



ვისი ინტერესებით ხდება ბურჯანაძისა და ნათელაშვილის დისკრედიტაცია და რა სცენარი განხორციელდება ის საქართველოში? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს კახა კუკავასთან.

***— ბატონო კახა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იყო ბიძინა ივანიშვილის საინიციატივო ჯგუფის ან იმ სახეების გაცნობა, რომლითაც ივანიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებაზე გამარჯვებას გეგმავს. გაამართლა ივანიშვილმა საზოგადოების მოლოდინი?***

— მე ვფიქრობ, რომ თვითონ ადამიანები, რომლებიც წარმოადგინა ივანიშვილმა, ნამდვილად ნორმალური და კარგი საზოგადოების წევრები არიან. რაც შეეხება პოლიტიკურ გუნდს, მთლიანობაში, არა მარტო გუშინ წარმოდგენილი შემადგენლობა, არამედ ზოგადად კოალიცია, ალბათ, გუშინ წარმოდგენილი სახეები მაინც არ არიან. ყველა კარგად ვხვდებით, რომ ისინი, პრინციპში, პრეზენტაციისთვის იყვნენ წარმოდგენილი და პოლიტიკური გუნდი სხვაა. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდს ბრძოლისუნარიანობა აკლია. ეს არ არის ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაერთვება სააკაშვილთან.

***— სამოქალაქო სექტორის ნაწილის აზრით, ამით ივანიშვილმა აჩვენა, რომ ის სააკაშვილთან ბრძოლას კი არა, სკამების ანუ ძალაუფლების გაყოფას აპირებს.***

— არა. ძალაუფლების გაყოფაზეც არ არის ლაპარაკი. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ეს ადამიანები, თუ მორალური კუთხით შევაფასებთ, თავიანთი დამსახურებებით ნამდვილად ჩვენი საზოგადოების ელიტას წარმოადგენენ. პრობლემა სხვა რამეა. მე ხშირად ვიხსენებ ხოლმე, იგივე 2007-2008 წლების მიჯნაზე, როდესაც გაერთიანებული ოპოზიცია ებრძოდა ნაციონალურ მოძრაობას – ოქრუაშვილის დაჭერიდან მოყოლებული, მერე 7 ნოემბერი, მერე საპრეზიდენტო არჩევნები და ის დიდი აქციები – ეს იყო მებრძოლი გუნდი. ჩვენ ჩვენი წილი ბევრი შეცდომა გვქონდა, ბევრი რამ შეიძლება არასწორად გავაკეთეთ, მაგრამ, ეს იყო გუნდი, რომელიც იბრძოდა და რომელიც სააკაშვილს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. გახსოვთ, მაშინ საკმაოდ დიდი დისკომფორტი ჰქონდა ხელისუფლებასაც. მე არა მგონია, რომ დღეს იმ კონფიგურაციამ, რომელიც ოპოზიციაშია, სააკაშვილს სერიოზული პრობლემები შეუქმნას. თუნდაც დღევანდელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არჩევნები მაისში ჩატარდება, უკვე იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი, პრაქტიკულად, გარანტირებულად მიიჩნევს თავის მდგომარეობას. ამაზე არაერთხელ გავაფრთხილე ჩემი მეგობრები, როცა ისინი იმის იმედად იყვნენ, რომ ახლა ობამა იმას და ამას იზამს შეხვედრაზე. ყველაზე ცუდი პროგნოზები გამართლდა, რომ ამ ხელისუფლებასთან დაპიდააკვირდა ყველაფერს, რაც ოპოზიციაში ხდებოდა, დარწმუნდა, რომ ოპოზიციის გაერთიანების შანსი ამოიწურა, რომ არავინ ქუჩის აქციებს არ აპირებდა და, როცა ეს მისთვის საინტერესო საკითხები გაარკვია, ახლა დანიშნა არჩევნები. ალბათ, სააკაშვილი გეგმავს, რომ არჩევნები ისეთი შედეგებით დასრულდება, როგორსაც აჩვენებს ყველა მხარის სოციოლოგია. ნაციონალური მოძრაობა მიიღებს აბსოლუტურ უმრავლესობას, ხოლო იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც დღეს ხმამაღალი ლოზუნგებით გამოდიან, პარლამენტში ფრაქციებს შეუქმნიან.

***— აქცენტი, როგორც ჩანს, ივანიშვილმა თავის გუნდზე ან ნიშნით გააკეთა: წესიერი, პატიოსანი და წარმატებული თავის სფეროში. ეს საკმარისია რეჟიმის დასამარცხებლად, როგორც მოქმედ ხელისუფლებას ოპოზიცია უწოდებს?***

— არ არის ეს საკმარისი. პირიქით, ჩვენ არაერთხელ გვინახავს, რომ თავის სფეროში წარმატებული ადამიანები არიან ხოლმე ძალიან დიდი პრობლემა მერე ქვეყნისათვის. მთელი „მოქალაქეთა კავშირი“ აკადემიკოსებითა და კინორეჟისორებით იყო დაკომპლექტებული და იმათ დააქციეს ეს ქვეყანა. ამიტომ პოლიტიკოსს, ჩემი აზრით, პირველ რიგში, სამოქალაქო პოზიცია მოეთხოვება. კონკრეტულად ისევ ივანიშვილის საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაზე თუ ვსაუბრობთ, აქ ბევრი ადამიანია, რომლებსაც სამოქალაქო პოზიცია ჰქონიათ. არ ვთვლი, რომ, მაგალითად, ნინელი ჭანკვეტაძე მხოლოდ კარგი მსახიობია. ის კარგი მოქალაქეც არის, იმიტომ რომ, მსახიობთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, როცა რაღაც საკითხზე სამოქალაქო პოზიცია იყო გამოსახატავი, ამას არ ერიდებოდა. ამის გამო ნინელი ჭანკვეტაძეს პატივს ვცემ. ამიტომ, თავისთავად, ის, რომ როცა ადამიანი კარგი პოლიტიკოსი, კარგი რეჟისორი და მსახიობია, ძალიან კარგი, მაგრამ არასაკმარისია. პოლიტიკოსი არის ადამიანი, რომელსაც, პირველ რიგში, შეუძლია, გადამწყვეტ მომენტში გამოვიდეს და თავისი აზრი მორიდების გარეშე გამოხატოს.

***— საზოგადოების ნაწილს ივანიშვილის გუნდმა სერიოზული ეჭვები გაუჩინა. პოლიტიკაში კარგად ჩახედული ადამიანებისაგან გაჩნდა განცხადებები: დროა ივანიშვილმა ცალსახად გამოკვეთოს, მიდის თუ არა სისტემურ ცვლილებაზე და რატომ ახერხებს პოლიტიკურ აქტივობას.***

— არანაირი სისტემური ცვლილებები არ იგეგმება. კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე არ მინდა, ძალიან მწვავე დებატებში ჩავერთო, მაგრამ იგრძნობა, რომ არანაირი ბრძოლა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დღეს არ მიმდინარეობს. თუ ჩვენ არა გვაქვს აღქმის უნარი და სხვა ყველა ხედავს ამას, მაშინ არაკომპეტენტურები ვართ, მაგრამ როცა ამ ქვეყანაში ბრძოლა მიდიოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ამას ყველა ვხედავდით 2008-2009 წლებში. ახლა მიდის ის, რომ ხელისუფლებას თავისი 50%-ის აღება უნდა; ვიღაცას – თავისი 20%-ის და ვიღავილის კოალიციიდან ბევრი მეპაექრებოდა, შენ არ იცი. ყველაფერი იქ არ წყდებაო. მე ვეუბნებოდი, რომ თავისუფლება არ მოიპოვება შაჰის ფირმანით. სააკაშვილი ობამას, ზოგადად, ამერიკის ყმაა. არცერთი იმპერატორი და მბრძანებელი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, თავისი ყმა მოხსნას ამა თუ იმ თანამდებობიდან და თავისუფალი ადამიანი დანიშნოს. ასეთი რაღაცები არ ხდება. სააკაშვილი ამერიკის მთავრობას ყველაფერს უკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ზიგიერთები კიდეც ჰპირდებოდნენ, ჩვენც ყველაფერს გაგიკეთებთო. რატომ უნდა შეცვალოს ობამამ სააკაშვილი, როცა ავღანეთშიც ჯარს აგზავნის, სტაბილურობაც დამყარებული აქვს, სომხების ეკლესიაც გახსნა თბილისში. ყველაფერს აკეთებს, რაც კი ამერიკის მოთხოვნა და რეკომენდაციაა. ძალიან გულუბრყვილო და არაკომპეტენტური იყო ის მოლოდინები, ვისაც ეგონა, რომ ობამა მიიღებდა გადაწყვეტილებას და სააკაშვილს წაიყვანდა. ახლა მაინტერესებს მათი კომენტარები, რას იტყვიან.

***— ივანიშვილის განცხადებიდან გამომდინარე, შუა უნდა გაიკრიფოსო, რას ელოდებით ამ პოლიტიკური პროცესისგან?***

— დღეს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მართლაც იბრძვიან არა ერთმანეთის, არამედ შუას წინააღმდეგ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათ უცხოელ პატრონებს მთავარი ამოცანა ჰქონდათ, ქართული პოლიტიკიდან ეროვნული ძალები გამქრალიყვნენ. მათთვის მთავარია, არ იყოს საუბარი ნეიტრალიტეტზე, ეროვნულ ფასეულობებსა და ქვეყნის დამოუკიდებლობაზე. ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, საარჩევნო სისტემა პროპორციული იქნება თუ მაჟორიტარული, მაინცდამაინც მწვავე რეაქცია ჩვენს უცხოელ პატრონებს არა აქვთ. ეს ყველაფერი რთული სამტკიცებელია, იმიტომ რომ ამის იურიდიული მტკიცებულებები მე არ შემიძლია წარმოგიდგინოთ, მაგრამ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბევრი პერსონა ჩვენს პოლიტიკურ დაფაზე ვაშინგტონიდან იმართება. რეალურად ბევრი რამ, რაც ჩვენ გვგონია, რომ მთავარია, სინამდვილეში ფარსია, ხოლო მთავარი პოლიტიკური პროცესი და არსი იმ ამერიკული სცენარისა, რომელიც საქართველოში ხორციელდება, არის ის, რომ საქართველოს სრული ამერიკანიზაცია მოხდეს, მოხდეს ეროვნული ძალების სრული მარგინალიზაცია და განდევნა პოლიტიკური სპექტრიდან. ადრე მხოლოდ ნაციონალები და ქრისტიან-დემოკრატები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ამათ შექმნეს. ახლა არეალი უფრო გააფართოვეს და ივანიშვილი დაამატეს. საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ამერიკის დაკრულზე უნდა ცეკვავდეს. ამიტომ მიდის მუშაობა იმაზე, როგორ გაუკეთონ დისკრედიტაცია კახა კუკავას, როგორ მოიშორონ ნინო ბურჯანაძე და როგორ გაუტეხონ სახელი შალვა ნათელაშვილს. ამიტომ ვამბობ, რომ მე ვერანაირ მზადებას ხელისუფლების ცვლილებისას ვერ ვხედავ.

# ალასანიას თანაპარტიელების დაკავების გამო თანადგომას უცხადებენ

გორის რაიონის სოფელ მერეთში 17 თებერვალს დილით დააკავეს „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის, გოდერძი მახარაშვილის ვაჟი, ელგუჯა მახარაშვილი და მისი მეგობრები ჯაბა და აკაკი ელიაშვილები. არსებული ინფორმაციით, დაკავების მიზეზი არის ინციდენტი, რომელიც აღნიშნულ პირებსა და სამხედრო პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს, გოგიტა გლახაშვილი შორის მოხდა, კერძოდ, მათ შორის სიტყვიერი და ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. დაკავებულები ამ დროისთვის გორის პოლიციაში იმყოფებიან. სავარაუდოდ, მათ ბრალს ხულიგნობის მუხლით წაუყენებენ.

გორში გუშინვე ჩავიდა ირაკლი ალასანია. რომ,ელმაც დაკავებულების გათავისუფლება მოითხოვა.

ოპოზიციონერების დაკავება რამდენიმე პარტიამ გააპროტესტა. ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ გორში დაკავებულ ირაკლი ალასანიას მხარდამჭერებს თანადგომას უცხადებს. ამასთან დაკავშირებით დღეს, პარტიის მთავარმა საბჭომ განცხადება გაავრცელა და დაკავების ფაქტს გამოეხმაურა.

„გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციამ „თავისუფალი დემოკრატების“ გორის რაიონული ორგანიზაციის სამი აქტივისტი – ელგუჯა მახარაშვილი, აკაკი და ჯაბა ელიაშვილები დაა-



კავა. ცნობილი გახდა ასევე, რომ ერთ-ერთი დაკავებულის, კერძოდ კი, აკაკი მახარაშვილის მამაზე, გოდერძი მახარაშვილზე უკვე დიდი ხანია ხორციელდება ზეწოლა და მუქარები პოლიციის მხრიდან მისი პოლიტიკური საქმიანობის გამო. ჩვენთვის უცნობია აღნიშნული ინციდენტის დეტალები, მაგრამ გამომდინარე იმ მწარე გამოცდილებიდან, რომელიც „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ დაარსების დღიდან მიიღო ხელისუფლებასთან ბრძოლის გზაზე, აღნიშნული დაპატიმრება, დიდი ალბათობით, ხელისუფლების „პოლიტიკური პოლიციის“ თანამშრომლების ინსპირირებულია“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

დემოკრატიული მოძრაობა“ თანადგომას უცხადებს და გამძლეობას უსურვებს „თავისუფალი დემოკრატების“ დაპატიმრებულ აქტივისტებს და მათი ოჯახების წევრებს და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ოპოზიციური პარტიის მხრიდან პოლიტპატიმრებისათვის სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოხატვა, რათა ხელისუფლებამ არ განახორციელოს ზეწოლა და ტერორი მოქალაქეებზე მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ბურჯანაძის პარტია, იმედს გამოთქვამს, რომ უფლებადაცვითი ორგანიზაციები რეაგირების გარეშე არ დატოვებენ აღნიშნულ ფაქტს. „ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ ხელისუფლება ობიექტურ გამოიძიებას ჩაატარებს, ვინაიდან ჩვენი მომხრეების წინააღმდეგ წარმართულ ათობით და ასობით ფაქტზე დაყრდნობით ვიცით, თუ რა ტერორისა და ზეწოლის ქვეშ შეიძლება ამყოფოს ხელისუფლებამ დაპატიმრებულები და მათი ოჯახის წევრები, რომ მოიპოვოს მისთვის სასურველი აღიარებითი ცრუ ჩვენებები“, – აღნიშნულია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი გაჩეჩილაძე: გოგლა ლეონიძეს ჩემთვის დათუნია კანფეტები მოჰქონდა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან

***— ბატონო გიორგი, არაერთი ინტერვიუ ჩაგვიწერია, მაგრამ პოლიტიკურ თემებს არ გავცდენივართ. თუ შეიძლება, რომ ვისაუბროთ თქვენი პიროვნების შესახებ, როგორ მოხვედით აქამდე? ალბათ, რამდენი კატაკლიზმები გამოიარეთ?***

— ვინ დათვლის...

***— თქვენი ცხოვრება კომუნისტურ პერიოდს დაემთხვა. როგორი იყო თქვენი ბავშვობა?***

— მამაჩემი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

***— წიგნები რომ არის გაჩეჩილაძის ავტორობით, თქვენი მამაა?***

— დიახ, ამბერკი გაჩეჩილაძე ჩემი მამაა. მას 16 მონოგრაფია და სახელმძღვანელოები აქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში თანაავტორობით გამოცემული. სამეცნიერო წრეებში ცნობილი კაცი გახლდათ. დედაჩემი ექიმი იყო, მაგრამ კომუნისტების დროს დაჩაგრეს. მამამისი გააკულაკეს. დედაჩემი საჩხერის რაიონიდანაა.

***— რა გვარია?***

— წერეთელი.

***— თავადური და ინტელიგენტური წარმომავლობა გქონიათ.***

— ჰო, რაღაც ნარევია. დედაჩემი თავადური წარმომავლობის იმდენად არ იყო. ბაბუაჩემი, ვანო, უფრო მეწარმეთა ოჯახის წარმოადგენელი გახლდათ. მე, რა თქმა უნდა, არ მახსოვს იმიტომ, რომ მამაჩემმა გვიან მოიყვანა ცოლი, საშუალება არ ჰქონდა. მამაჩემი 1905 წელს გახლდათ დაბადებული და მე რომ დავიბადე, 49 წლის იყო. დედაჩემისა და მამაჩემის ცხოვრების ისტორია ძალიან საინტერესოა. უნდა დაინახოთ ის რეალობა, რაც მაშინ ხდებოდა. ამ ხალხს რომ ჰგონია, ისე მარტივად არ იყო საქმე. ბაბუაჩემი რომ გააკულაკეს, მათ შავსიელებს ეძახდნენ. ალბათ გაგიგიათ?

***— როგორ არა, ჩემი ორი ბაბუაც 37 წელს დახვრიტეს და ვიცი, რაც მაშინ ხდებოდა.***

— ჩემი მეორე ბაბუა, ნიკოლოზი, გადაასახლეს ახალციხეში. იქ არის სოფელი ზიკილია, სადაც სულ გაჩეჩილაძეები ცხოვრობენ. დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო. წერეთლის ქალი. დედა ჰყავდა აბაშიძის ქალი, მაგრამ ძალიან დაიჩაგრა. რადგან მამამისი გააკულაკეს, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების უფლება არ ჰქონდა. სამედიცინოზე მოგვიანებით ჩააბარა, როცა სიტუაცია ცოტა გამოსწორდა. სანამ გათხოვდებოდა, გაამწესეს იმერეთის ერთ-ერთ სოფელში საავადმყოფოს გამგედ. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, 80 წლის იყო. სულ მისჩიოდა ერთ რამეს – ომის დროს დიდი გაჭირვება რომ იყო, მედპერსონალმა ფული შეკრიბა და ძროხა იყიდა, პაციენტებს რძე რომ ჰქონოდათ. დედაჩემი სულ ჩიოდა, ტუკვაძეებმა მოგვატყუეს, იმდენს არ იწველებოდა, რამდენიც უნდა მოეწველაო.

***— თქვენ როდის შეიგრძენით კომუნისტური სუსხი, თქვენს მეხსიერებაში როგორ და როდის გაანალიზდა თქვენი მშობლების წარსული?***

— ჩემს მშობლებს ამაზე საუბარი არ უყვარდათ.

***— იმ პერიოდში ამაზე საუბარი საშიშიც იყო.***

— როცა საშიში აღარ იყო საუბარი, მაშინაც ერიდებოდნენ იმიტომ, რომ ის თაობა ისე იყო მიჩვეული. მამაჩემს უფრო რთული ბიოგრაფია აქვს. მამამისი გადაასახლეს, ფაქტობრივად, არაფრის საშუალებას არ აძლევდნენ. მამა ძალიან განათლებული ადამიანი იყო. ჩვენ გვაქვს ბიბლიოთეკა, სადაც დაახლოებით 12 ათასი წიგნია. ხელფასის ნახევარი მიდიოდა ბუკინისტებში. იქ მამაჩემი ყველას იცნობდა და მეც დავყავდი. მაშინ წიგნები იოლი საშოვარი არ იყო და უნიკალური წიგნები შეაგროვა. ნეტავი ყველა წიგნი წამაკითხა. არის ერთი ისტორია, რომელიც მინდა მოგიყვეთ. ჩვენ გვაქვს ერთი სურათი, რომელიც გადაღებულია ფოტო-ატელიეში, სადაც სპეციალურად მიდიან ფოტოს გადასაღებად. ფოტოზე არიან პავლე ინგოროყვა და მამაჩემი. პავლე ინგოროყვა იყო ასაკოვანი, მამაჩემი კი – ახალგაზრდა დოცენტი. ფოტოს თარიღიც აწერია, მე მგონი, 1035 წელი. ეს ის პერიოდია, რეპრესიები რომ იწყებოდა. მაშინ პავლე ინგოროყვას დევნა დაიწყეს. მამაჩემს არასოდეს მოუყოლია ეს ისტორია. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი ჩამოვიდა,



ქალბატონი. გვიან მოვიდა, მაშინ, როცა პანაშვიდი დამთავრებული გახლდათ. ის მოგვიყვა ამ ისტორიას. გვითხრა, თქვენ არ იცით, როგორი პიროვნება იყო მამათქვენიო. რეპრესიები რომ დაიწყო, პავლე ინგოროყვა ნაციონალისტად გამოაცხადეს. მაშინ მწერალთა კავშირში თუ სად, ზუსტად აღარ მახსოვს, შეიკრიბნენ მეცნიერები და ამ დიდ მეცნიერს გადაუარეს. ეშინოდათ, რადგან რეპრესიები დაწყებული იყო, ხალხს ქუჩაში იჭერდნენ და მიჰყავდათ. ერთადერთი, მამაჩემი იყო, რომელმაც პავლე ინგოროყვა დაიცვა. თურმე სხდომა რომ დამთავრდა, პავლე ინგოროყვას ბოლო სიტყვის თქმის უფლება მისცეს. ჰკითხეს, აბა, რას იტყვითო? პავლე ინფოროყვას უთქვამს, ჩემი ქვეყნისთვის ყველაფერი გავიღე, ვალი მოვიხადე, რაც გინდათ, ის გააკეთეთო. ერთადერთი, ბედნიერი ვარ, რომ აღმოვაჩინე, რომ ერთი ახალგაზრდა, ქართველი ვაჟკაცი კიდევ არსებობს ამ ქვეყანაშიო. მამაჩემისთვის მიუმართავს, აბა, ბატონო, ადექი, წავიდეთ ფოტო-ატელიეში და სურათი გადავიღოთო – წავიდნენ და გადაიღეს.

***— ე.ი. ამ სურათს საინტერესო ისტორია ჰქონია.***

— ჰო, ისტორიული სურათია. მამაჩემი გრიშაშვილთან მეგობრობდა. როგორც კი გრიშაშვილი წიგნს დაბეჭდავდა, მამაჩემს გამოუგზავნიდა წარწერით. ყველაფერი შენახული გვაქვს. გრიშაშვილი ქალების მოყვარული კაცი იყო (ჩვენს ოჯახში მოდიოდა, მაგრამ მე არ მახსოვს). მამაჩემს გამოუგზავნიდა ხოლმე ქალების სურათებს. მამაჩემი ამბობდა, რას მიგზავნის, რად მინდა ამ ქალის სურათიო. ჩვენთან სტუმრად სხვა ცნობილი ადამიანებიც მოდიოდნენ ხოლმე. რაც მახსოვს, იმას მოგიყვებით. გოგლა ლეონიძე მეგობრობდა მამაჩემთან და ჩვენს ოჯახში მოდიოდა. შემოაღებდა კარს და დაიძახებდა... ბავშვებს მისი მოსვლა ძალიან გვიხაროდა, რადგან დათუნია კანფეტები მოჰქონდა. გოგლა ლეონიძე რომ მოვიდოდა, ვიცოდით, რომ ნამდვილად დათუნია შოკოლადებს მოგვიტანდა. მახსოვს, პაკეტში იყო ჩაწყობილი და დაიძახებდა, აბა, მოდითო... ერთი უაღრესად ნიჭიერი მხატვარი იყო კიდევ, მიხეილ ვარდიშვილი (გარდაიცვალა. მისი სურათები გვაქვს. ძალიან ძლიერი მხატვარია. თუმცა, მაშინ დასცინოდნენ. თქვენ ნახავთ, დაიმახსოვრეთ, რომ მას დიდ მხატვრად აღიარებენ მსოფლიოს მასშტაბით), გაშლიდნენ სუფრას, ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. ლაპარაკობდნენ ლიტერატურაზე, საქართველოზე და ამგვარ თემებზე და ამ საკითხებში გათვითცნობიერებული ვიყავი.

***— ლიტერატურულ წრეებში გაზრდილმა ახალგაზრდამ სულ სხვა სპეციალობა აირჩიეთ. ეკოლოგიისადმი ინტერესი როგორ გაგიჩნდათ?***

— გარემოს დაცვა, განსაკუთრებით საქართველოში, პირდაპირ არის დაკავშირებული ეროვნულ მოძრაობასთან. სამი და მყავს, ერთი არის ბიოლოგი, ორი კი – ფილოლოგი. ჩემმა დამ მამაჩემის რჩევით აირჩია ბიოლოგიის მიმართულება. ჩვენ ფუფუნებაში არ ვცხოვრობდით. ვერაზე, ქიაჩელის ქუჩაზე, ერთოთახიან ბინაში 6 ადამიანი ვცხოვრობდით. მამიდაჩემიც ჩვენთან ცხოვრობდა.

***— მოკლედ, კომუნისტური რეპრესიები საქართველოში ბევრს შეეხო.***

— თითქმის არ დარჩენილა ოჯახი, რომ არ შეხებოდა. საუბარია რეალურ კომუნისტურ პერიოდზე, რომელმაც ადამიანებს ძალიან ბევრი ტანჯვა მოუტანა. ვინც იმ პერიოდში ღირსება შეინარჩუნა, მართლაც ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბდა. ეს გამოცდა იყო და ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ღირსეულად ჩააბარა.

***— თქვენი სტუდენტობა ალბათ 70-იან წლებს დაემთხვა. როგორი იყო 70-იანი წლების თბილისური სკოლა? არის საუბარი იმაზე, რომ ვიღაც ქუჩაში იზრდებოდა, ვიღაც – არა.***

— მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოსწავლე ხუთოსანი იყო თუ არა, დამოკიდებულება პედაგოგებისადმი მაინც განსაკუთრებული იყო. მასწავლებლებისადმი მორიდება ყოველთვის არსებობდა. ჩვენთან, მაგალითად, არავის არ გაუბედავს მასწავლებლისადმი შეურაცხყოფა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის ნაწილი დროის დიდ ნაწილს ქუჩაში ატარებდა. ამასაც დიდი მნიშვნელიბა ჰქონდა მაშინ, იმიტომ, რომ არაფერი არ იყო გარდა კინოსი, თეატრისა და ქუჩის. რუსთაველზე ცნობილი ადამიანები, ხელოვანი ხალხი, მწერლები, პოეტები, მხატვრები გამოდიოდნენ სასეირნოდ. ძალიან ძლიერი მეცნიერები, ღირსეული ადამიანები, კარგი პედაგოგები მყავდნენ გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში. მათ ძალიან დიდი როლი ითამაშეს ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. სისტემა კარგად იყო აწყობილი. მაგალითად, ყოველ წელს სტუდენტები პრაქტიკაზე მივყავდით, სინამდვილეში ეს იყო ექსპედიციები. პირველად საქართველო მაშინ დავათვალიერე. მაგალითად, როგორც სტუდენტი, ვმუშაობდი რიწის ტბაზე და პირველი გეოდეზიური აგეგმვა ჩვენი გაკეთებულია.

***— ხომ არ ჩხუბობდით ხოლმე?***

— ახალგაზრდას ყოველთვის გიხდებოდა ჩხუბი, ძმაკაცობა, ძმაკაცის გატანა, ძალიან მნიშვნელოვანი ღრებულებების ტარება და მისი დაცვა. ახალგაზრდობა საზოგადოების ნაწილია. თუ ადამიანი საზოგადოებაში არ ტრიალებს, არ ვარგა. რატომ არის, რომ ყველაზე დიდი სასჯელი ადამიანისთვის დახვრეტა კი არა, არამედ ერთკაციან საკანში ჩასმაა. ზოგი ვერ იტანს და გიჟდება. პატიმარს ურჩევნია სიკვდილი, ვიდრე ერთკაციან საკანში ჩასმა. ისეთი საზოგადოება, რომელიც მეგობრობასა და რელიგიურ სიყვარულზეა აგებული, უფრო მაღალი ღირებულების მატარებელია.

***— რელიგიური ხართ?***

— კი, რა თქმა უნდა.

***— 90-იან წლებში დაიწყეთ ეკლესიაში სიარული თუ მანამდე, სტუდენტობის დროს?***

— ეკლესიაში კომუნისტების დროს ყოველთვის დავდიოდით, მაგრამ ეს არ იყო რწმენასთან დაკავშირებული. ჩვენი ეკლესიაში სიარული უფრო საბჭოთა კავშირის მიმართ პროტესტს უკავშირდებოდა. ალბათ იცით ამის თაობაზე.

***— დიახ, ჩემი სტუდენტობის დროსაც ასე იყო.***

— არც ერთი ლიტანიობა არ გვაქვს გამოტოვებული, ახალგაზრდობა შევიკრიბებოდით და მივდიოდით ეკლესიაში, უფრო მეტად ქაშვეთში დავდიოდით.

***— მეუღლე როგორ შეირთეთ, გარიგებით ხომ არა?***

— არა, სიყვარულით, რა თქმა უნდა, სიყვარულით. გავიცანი ჩემი მეგობრის ოჯახში. ერთ-ერთის დაბადების დღე იყო. გაცნობიდან რამდენიმე თვეში დავქორწინდით. არის ექიმი, სტომატოლოგი. სულ წუწუნებს, კლიენტები არ არიან იმიტომ, რომ ხალხს უჭირს.

***— როგორი სიმამრი ხართ?***

— რა ვიცი, რა გითხრათ. სამი შვილიშვილი მყავს, მეოთხეს ველოდები.

# დავით უსუფაშვილი მურმან დუმბაძის განცხადებებს პასუხობს

რესპუბლიკური პარტიიი ლიდერი დავით უსუფაშვილი მოძრაობა „ემსახურე საქართველოს“ ლიდერის, მურმან დუმბაძის განცხადებებს პასუხობს. მისი თქმით, ის ამ პერიოდის გნმავლობაში დუმბაძის განცხადებების კომენტირებას თავს არიდებდა, თუმცა ეხლა დუმილს იძულებით არღვევს.

„ საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე აქამდე ვდუმდი, თუმცა მედიაში მურმან დუმბაძის მიერ ატეხილი აჟიოტაჟის გამო იძულებული ვარ განვაცხადო შემდეგი: როგორც ჩანს, შეთანხმებისათვის ჩემი მზაობა მურმან დუმბაძემ მხოლოდ საკუთარი მნიშვნელობის დემონსტრირებად აღიქვა, ხოლო თანამშრომლობისთვის გაწვდილი ხელი – მისთვის მიუღებელ მარწუხად“ – ნათქვამია რესპუბლიკური პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე განაცხადა რესპუბლიკურ პარტიასთან და თავისუფალ დემოკრატებთან – როგორც წამყვან პოლიტიკურ პარტნიორებთან, თანამშრომლობის შესახებ. მურმან დუმბაძემ, თავის მხრივ, საჯაროდ გამოხატა ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობის სურვილი. შექმნილ ვითარებაში მე ასევე საჯაროდ, ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით ჩვენს შორის ურთიერთობის მოგვარების თაობაზე არაერთხელ გამოვხატე მზადყოფნა.

მიუხედავად დიალოგისთვის ჩემი საჯაროდ გამოხატული მზაობისა, მურმან დუმბაძე აგრძელებდა, ერთი მხრივ, რესპუბლიკურ პარტიაზე თავდასხმებს და, მეორე მხრივ, ცდილობდა ბიძინა ივანიშვილთან მისასვლელი გზების ძიებას. ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლებმა მას მკაფიოდ განუმარტეს, რომ ამ გზით ის სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა და საჭირო იყო უშუალოდ ჩემთან შეხვედრა. ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა თავად ბიძინა ივანიშვილმაც.

მურმან დუმბაძესთან დაახლოებით თვენახევრის წინ შემდგარი შეხვედრისას ჩემი სათქმელი იყო მარტივი, მკაფიო და საქმიანი. მე ვუთხარი, რომ მართალია რესპუბლიკურ პარტიასთან მისი ძველი ურთიერთობის აღდგენა ორმხრივად შეუძლებელი იყო მაგრამ ჩვენ შეგვეძლო გავმხდარიყავით პარტნიორები საერთო დიდ საქმეში. ამისათვის საჭირო იყო, რომ არც ერთს მიზნად არ დაგვესახა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამოყენებით ერთმანეთისთვის რაიმეს დამტკიცება ან რევანში და გამოგვეძებნა აჭარის მასშტაბით ჩვენი კოალიციური პოლიტიკური საქმიანობის ფორმატი. ჩვენ ამ შესაძლო ფორმატის არანაირ კონკრეტულ დეტალებზე არ გვისაუბრია და შევთანხმდით, რომ გავაგრძელებდით კონსულტაციებს.

კონსულტაციების გაგრძელების ნაცვლად მურმან დუმბაძემ ახალი შემართებით გააგრძელა რესპუბლიკური პარტიის საწინააღმდეგო კამპანია (ამჯერად ეს „პატივი“ კობა დავითაშვილსაც ერგო). მეტიც, ბოლო ხანებში საკითხი ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს მე მას შეხვედრის დროს გაუბედავად, მოკრძალებით და ირიბად ვთხოვე პარტიაში დაბრუნება. როგორც ჩანს შეთანხმებისათვის ჩემი მზაობა მან მხოლოდ საკუთარი მნიშვნელობის დემონსტრირებად აღიქვა, ხოლო თანამშრომლობისთვის გაწვდილი ხელი – მისთვის მიუღებელ მარწუხად.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, თუ მურმან დუმბაძე მოუხმობს კეთილგონიერებას, გაიაზრებს და გაითვალისწინებს არა მხოლოდ ჩემს, არა ველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის რჩევებსა და პოზიციებს და პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსისთვის შესაფერის ნაბიჯებს გადადგამს, ჩვენ მოვახერხებთ თანამშრომლობის ფორმატის გამოძებნას.



ამასთანავე, პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამო ჩემი და ჩემი კოლეგა რესპუბლიკელების თმენის ვალდებულება არ არის უსაზღვრო. ხშირად სწორედ რომ რაღაცის მოთმენა და რაღაცასთან შეგუება ნიშნავს პოლიტიკურ უპასუხისმგებლობას. მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება არა პიროვნულ სიმპათიებს თუ ემოციებს, არამედ ქვეყნისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მყარი კოლიბებას, როგორიცაა ტაოკლარჯეთში ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენა, რელიგიური და სამოქალაქო მშვიდობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა თურქეთთან“ – ნათქვამია დავით უსუფაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

ნათია ხურცილავა

# იური მეჩითოვი: ყველაფერში ევროპის მიბაძვა არ ღირს“

**ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი ქართულ ყოფას კარგად იცნობს. შეიძლება ითქვას, თბილისის სუნთქვა კარგად ესმის. ახსოვს თბილისის კოლორიტული სახეები.**

ვფიქრობდი, რომ ინტერვიუც სწორედ ამ განწყობით აეწყობოდა, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში ავცდით პოლიტიკას.

იური მეჩითოვს ცოტა პოლიტიკაზე, ცოტა ფილოსოფიაზე, ცოტა ფოტოგრაფიაზე ვესაუბრეთ:

***— როგორც საზოგადოების წარმომადგენელს, ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რა მოლოდინები გაქვთ?***

— ჩვენ განსაკუთრებულ ეპოქაში ვცხოვრობთ როგორც გლობალურად, ისე საქართველოში. რა თქმა უნდა, ამქვეყანაზე უცვლელი არაფერია. ყველაფერი იცვლება. როგორც ამბობენ, ყველაზე მუდმივი ამქვეყნად ცვლილებებია, ანუ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. არის რაღაცები, რაც დროს ვერ უძლებს, დროს მოჭამს ხოლმე. ვიღაცა რაღაცას რომ გააკეთებს, მერე სხვას უნდა დაუთმოს, რომ იმან უფრო კარგად გააკეთოს. ხელისუფლებაში მუდამ ამბობენ, რომ ეს პროცესი ბუნებრივია და, რა გადაწყვეტილებასაც ხალხი მიიღებს, ისე უნდა იყოს. ამ შემთხვევაში მართლა ხალხმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. ხალხმა უნდა აირჩიოს ცხოვრების ის წესი, რომელიც პირველ როგში მის ბიოლოგიურ გადარჩენას უზრუნველყოფს და შემდეგ — ბედნიერ ცხოვრებას. ჩვენ, სამწუხაროდ, ახლა ბიოლოგიური გადარჩენის ველზე ვართ, რადგან საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი გაქცეულია. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომლის ნახევარი სისხლი გადინებულია. ხალხი იმიტომ ქმნის სახელმწიფოს, რომ გადარჩეს. ქვეყანა სხვაა, სახელმწიფო — სხვა და ხელისუფლება — კიდევ უფრო სხვა. როდესაც ხდება ტერმინების აღრევა, როდესაც ხელისუფლება თავს ხალხთან, სახელმწიფოსთან, ქვეყანასთან აიგივებს, ამ შემთხვევაში საქმე ცუდად არის. ჩვენ ფანტასტიკურ, ულამაზეს ქვეყანაში ვცხოვრობთ, ამას მუდამ ვამბობდი და ვიტყვი კიდეც.

***— რა მოგწონთ ჩვენს ქვეყანაში?***

— ცუდად აშენებული სახელმწიფო გვაქვს და უვარგისი ხელისუფლება გვყავს. ეს არ მომწონს. მომწონს ხალხი, ადამიანები. ამიტომ ვამბობ, რომ ცვლილებები გვინდა.

***— რა მიმართულებით, უფრო გლობალურად?***

— ხალხის ნება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ნათქვამია, ხალხი ბრძენიაო. ხალხი ბრძენი არასდროს იყო. არიან ადამიანები, რომლებშიც გარკვეული პოტენციალი გროვდება და ამბობენ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. 5 პროცენტია საკმარისი, რომელიც იტყვის, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება. ამას აცნობიერებს კიდეც და ძალუძს ამ ცვლილებების აღსრულება, მოტანა.

***—რამდენად გჯერათ, რომ ცვლილებები მოხდება, თუ შეიძლება, საპნის ბუშტივით გასკდეს?***

— არა, სხვა პირი უჩანს. მე, როგორც ფოტოგრაფს, ისტორიასთან მუდამ მაქვს შეხება. მუდამ ვუყურებ სახეებს. 20 წლის წინ გადაღებულ ფოტოებს ვუყურებ და შემდეგ სახეებს ვადარებ. ამ 20 წლის მანძილზე რამდენი ენერგია დაიხარჯა. თან არ მინდა, სიტყვა „დაიხარჯა“ ვთქვა, რადგან რაღაც შედეგი იყო. ცოტა დავბრძენდით. ისევ ხალხის მითიურ სიბრძნეს რომ დავბრუნდეთ, ეს აბსოლუტური ტყუილია.

***— თუმცა, ფოლკლორში საოცარი ბრძნული გამონათქვამებია, რომლებიც დღემდე მოდის. ამას ხომ ბრძენი ხალხი ამბობს?***

— გამონათქვამები ათასწლეულობის მანძილზე ილექება. ერთი იმ საუკუნიდან, ერთი კიდევ — სხვა საუკუნიდან. ასე ვიღებთ სიბრძნის კონას. ცალკეულ სიტუაციებში ნებისმიერი ადამიანი რომ ავიღოთ, სულ არ გამოიყურება ბრძნად. ძალიან ხშირად სულელადაც გამოიყურება. ეს საწყენი არავისთვის არ უნდა იყოს. სისულელე, სიგიჟე, წინდაუხედაობა ადამიანებისთვის მოსული ამბავია.

***— თქვენ სახეებზე ბრძანეთ. ფოტოგრაფის თვალით დანახული სახეები რამდენად იცვლება?***

— ადრე, როდესაც ე.წ. ეროვნული მოძრაობა იწყებოდა (ე.წ. უნდა ვიხმარო, რადგან ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ და, თუ დღეს ასეა წოდებული, არავინ იცის, ხვალ როგორ იქნება წოდებული). თუმცა, არ მესმის თქვენი, ჟურნალისტების, როდესაც ამბობთ, სოხუმის ე.წ. მერიო.

***— ამბობთ, რომ რეალური მერია?***

— რა, არ არის? თუ ის კანალიზაციის სისტემას აწესრიგებს, თუ მუშაობს, თუ ის არის რეალური, რომლებიც აქ სხედან და ვითომ აფხაზეთის სტრუქტურები რომ არის შექმნილი, რომლებიც არაფერს აკეთებენ? ეს არის ტერმინების აღრევა. აფხაზეთის დამოუკიდებლობა არის ეგრეთ წოდებული, მაგრამ მერი, რომელიც მუშაობს, ე.წ. არ არის.

***— მე სახეებზე გკითხეთ...***

— დიახ, რომ გავიხსენო, ადრე უფრო იმედიანი სახეები იყო, რადგან არ იცოდნენ, ფიქრობდნენ, რომ „ბორჯომს“ გაყიდდნენ და ბედნიერნი იქნებოდნენ. 200 წელი სახელმწიფოებრიობა არ გვქონია. მანამდე მოფამფალებული სახელმწიფო იყო. ახლა სულ მე-10-12 საუკუნეს მივჩერებივართ, როდესაც მართლაც დიდი იყო საქართველო, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. იმ გამოცდილებით ხომ ვერ ვიქნებით ახლაც. რეალურად არ გვქონდა არავითარი სახელმწიფოებრივი გამოცდილება. რაც გვქონდა, ისიც დავაქციეთ და ახლა ამ ნანგრევებზე რაღაცას ვაკოწიწებთ და ვაშენებთ. ის სახეები სხვა იყო, დღევანდელი სახეები სულ სხვა არის. ის სახეები რაღაცით მაინც იყო უზრუნველყოფილი ყოფილი საბჭოთა სისტემით. დღეს ვფიქრობ, როგორ გადავიხადო დენისა და მასთან მიბმული ნაგვის გადასახადი.

***— ეს არ მოგწონთ და აპროტესტებთ?***

— ვისაც მოსწონს, ქვა მესროლოს. ამის შემდეგ იტყვიან, კომუნისტებს მისტირისო. კომუნისტებს კი არ მივტირი, მივტირი იმ დროს, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის ნახვა უხაროდათ, ერთმანეთს „გამარჯობას“ ეუბნებოდნენ. როდესაც სტუმარი მოგივიდოდა, ასეთი ანეკდოტი არ იყო. ანეკდოტი ასეთია: „ვინ ხართ? ყაჩაღები ვართ. აგაშენათ ღმერთმა, სტუმრები მეგონეთო“.

***— ევროპული ტიპის ქვეყანა ვართ თუ უფრო...***

— ეს თამაშებია. ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელიც ვართ, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. რაღაცები გვაქვს ისეთი, რაც ევროპულად შეიძლება აღიქვა. სხვათა შორის, მეც მაქვს ეს კითხვა, სტუმრები რომ ჩამოდიან.

***— და რას გეუბნებიან?***

— ევროპული ქვეყნის შთაბეჭდილებას ტოვებსო.

***— სარკოზიმაც ასე გვითხრა...***

— სარკოზი ჩემთვის არ არის კრიტერიუმი. არცერთი ხელისუფლების წარმომადგენელი ჩემთვის არ წარმოადგენს ავტორიტეტს, მით უმეტეს, დღევანდელი ე.წ. ცივილიზებული სამყაროსი. ისინი მავნე ხალხი არიან, ათასი უბედურება შეუძლიათ დაატრიალონ. ამიტომ ანგარიში უნდა გავუწიო და ვიფიქრო, სად დავემალო მათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ანგარიშგასაწევი ხალხია.

***— თქვენ ბიოლოგიურ გადარჩენაზე ისაუბრეთ, შემდეგ — ბედნიერებაზე. ადამიანი ხომ ბედნიერებისთვის არის გაჩენილი...***

— ადამიანი ბედნიერებისთვის არის გაჩენილი, მაგრამ უბედურებაში ცხოვრობს სხვადასხვა მიზეზის გამო. ერი იმიტომ ქმნის სახელმწიფოს, იმიტომ უხდის ბეგარას, რომ მისი, მისი შვილების მომავალი იყოს უზრუნველყოფილი. მისი მომავალი თუ არ არის უზრუნველყოფილი, ეს ნიშნავს, რომ სისტემა, რომელიც მან შექმნა ან ვილაცამ შეაქმნევინა, არ მუშაობს. შეაქმნევინაო, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ვილაცა გვაქმნევინებს რაღაცას. ახლაც, ცვლილებები რომ ხდება, დარწმუნებული ვარ, ქართული ოცნება არ არის მხოლოდ.

***— ამერიკულია თუ რუსული, თქვენი აზრით?***

— არ მინდა დღეს ამაზე საუბარი. ჩემი აზრით, ეს ოცნება არ შეიძლება მხოლოდ ქართული იყოს, რადგან გზაჯვარედინზე ვართ. ჩვენ ძალიან გახსნილები ვართ. ახლა პოლიტიკურად არაფერს წარმოვადგენთ, ამიტომაც ვამბობ ამას. ჩემს ასაკში არავის ვენდობი გულწრფელად, რადგან საქმემან შენმან უნდა წარმოგაჩინოს, მაგრამ, ცვლილებები რომ აუცილებელია, ცალსახაა. ადრე თუ ჩამყაყებას 20 წელი სჭირდებოდა, ახლა 5-8 წელი საკმარისია, რეჟიმმა თავისი შესაძლებლობები რომ ამოწუროს. არავინ ამბობს, რომ არაფერი გაკეთებული არ არის, პირიქით, ყველანი ვაფასებთ გაკეთებულ საქმეებს. ჩემი ფორმულაა: კარგის დანახვის უნარი დაკარგული არ მაქვს, მაგრამ ცუდზე თვალს ნუ დამახუჭვინებთ.

***— ცუდი ბევრი იყო?***

— იყო და არის. ცუდი შეიძლება გარდამავალ პერიოდს დაბრალდეს. ამ შემთხვევაში გამოსავალი ყოველთვის არის, როდესაც რაღაცას აკეთებ. რა თქმა უნდა, რთულია. ეს ავგიას თავლაა, როდესაც დაალაგებ, აყროლდება კიდევაც. შეცდომა ერთია, მაგრამ მერე ხდება დანაშაული, მერე, როგორც იტყვიან — დანაშაულზე მეტი. შეცდომასა და დანაშაულს შორის უცნაური ზღვარია. გააჩნია, ისტორია როგორ დაწერს, როგორ გაამართლებს. მხოლოდ ერთი კრიტერიუმი არსებობს: არა აშენებული გზა, არა კედელი და სასახლე, არამედ ადამიანის ბედნიერება. თუ ადამიანი უბედურია, მანდმთავრდება ჩემთვის ყველაფერი. არავითარი სხვა ღირებულება არ არის. ერთადერთი ღირებულება ადამიანია. მე, როგორც პორტრეტისტი, ადამიანს ვაკვირდები და ადამიანის სახეა ჩემთვის მთავარი. როდესაც ადამიანს დათრგუნულს, მშიერსა და შეშინებულს ვხედავ, მაშინ ეს ქვეყანა არ არის კარგად აწყობილი.

***— დღეს თბილისის ქუჩებში საინტერესო სახეები გხვდებათ?***

— არ ვუყურებ, რადგან არ მიხარია. როდესაც მეგობრებს ვხედავ, არც ის მიხარია.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ გასაჭირში არიან. სახეზე ეტყობათ, მაგრამ თბილისის ხასიათი, როგორც ჩანს, მაინც სძლევს ამ გაჭირვებას და ხალხი მაინც ესალმება ერთმანეთს. თუმცა, ამ ადამიანებში რეალურად ძალიან დიდი სევდაა.

***— ძველი თბილისი გენატრებათ?***

— თბილისელს ძველი თბილისი ყოველთვის ენატრებოდა. მე-19 საუკუნის ბოლოს გამოცემული ტექსტები წამიკითხავს და იქ ადამიანები ამ მონატრებაზე წერენ. ამდენად, ეს არის ბუნებრივი მომენტი, რომ გენატრება ის დრო, როდესაც უფრო ახალგაზრდა და კარგი იყავი. ეს აბსოლუტურად ბუნებრივია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა იმ დროს მივტირით. საქმე ის არის, რომ თბილისი მაინც კარნავალური ქალაქია. ის არ უნდა დაემსგავსოს ევროპულ ქალაქს. ევროპაში ნამყოფი ვარ და სულაც არ ვარ აღფრთოვანებული იმ ევროპით, რომელსაც ვუყურებ. ევროპაში ადამიანები კანონის ჩარჩოებში ძალიან არიან ჩასმული, ზედმიწევნით კანონმორჩილნი არიან. ასეთი მორჩილება ზოგჯერ აფეთქებებს იწვევს. შემდეგ, რომ გამოვარდება ეს ხალხი და ყველაფერს გადაწვავს, უკვირთ. სტრესი იწვევს ასეთ რეაქციებს. გახსოვთ, ლონდონი როგორ გადაწვეს? ახლა ათენი იწვის. თავისუფლების ხარისხი მოქნილი უნდა იყოს, რომ ადამიანმა არც მეზობელს ავნოს და არც საკუთარ თავს. როდესაც ასე შეზღუდულია ყველაფერი, მაშ, სად არის თავისუფლება? სად არის ბედნიერება? ინგლისში ვიყავი, სადაც ვნახე ასეთი სურათი: ადამიანი ძაღლს ასეირნებდა, ირგვლივ მშვენიერება იყო, მაგრამ ის ძაღლის უკანალს უყურებდა, რომ 1000 ფუნტით არ დაეჯარიმებინათ. ჯობია, ერთხელ ფეხი დააბიჯო, ვიდრე სულ იქ იყურო, სადაც ის კაცი იყურებოდა. თავისუფლების განსხვავებული ხარისხი არსებობს. ყველაფერში ევროპის მიბაძვა, რომელიც თავად ასეთი დარეტიანებულია, არ ღირს. გავიხსენოთ ნორვეგიაში მომხდარი უბედურება, რომელმაც 70 ადამიანი შეიწირა, მათ შორის, ჩვენი ქართველი გოგონაც. 150 ადამიანი იყო იმ კუნძულზე, ნახევარზე მეტი — მამაკაცი. ერთსაც არ მოუვიდა აზრად, რომ იმისთვის ქვა ესროლა და ამდენი მსხვერპლი არ იქნებოდა. იცით, რატომ არ ესროლეს? პოლიციას ელოდებოდნენ. კაცი კაცს უნდა ჰგავდეს. სისტემა, რომელიც ადამიანს თრგუნავს და მხოლოდ იმაზეა ორიენტირებული, რომ კანონმორჩილი იყო, მიუღებელია. ამით ინგრევა არსი, რატომაც შეიქმნა სახელმწიფო. ნებისმიერი გადახრა ასეა. არსებობს რაღაც, რაც აუცილებლად დასაცავია, მაგრამ იმის იქით მიუღებელი ხდება.




## არასამთავრობო ორგანიზაციები საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ

არასამთავრობო ორგანიზაციები საკონსტიტუციო სარჩელზე მუშაობენ, რომელსაც უახლოეს მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანენ.

„ნიუსპრესთან“ საუბარში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა ეკა ფოფხაძემ განაცხადა, რომ სარჩელი შეეხება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის ზოგიერთ მუხლს, რომელიც ანტიკონსტიტუციურია.

„მიგვაჩნია, რომ ეს მუხლები ანტიკონსტიტუციურია. თუ პარლამენტში არ მოხდება წარმოების დაწყება, უახლოეს მომავალში, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შევიტანთ“, — აღნიშნა ეკა ფოფხაძემ.

მისივე განმარტებით, საკანონმდებლო წინადადებაში, რომელიც მომზადებულ, ჩამოყალიბებულია არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია. ფოფხაძე ამბობს, რომ პირველ რიგში ეს შეეხება პროცედურების გაწერას, პრობლემა იყო, კონტროლის პალატის საკმაოდ ულიმიტო უფლებამოსილება და არარსებული პროცედურა.

„დადგენილი არ იყო, თუ როგორ თვლიდა კონტროლის პალატა ამა თუ იმ ორგანიზაციას თუ პირს დაინტერესებულ, დაკავშირებულ პირად. ამიტომ გაიწერა პროცედურა და საკმაოდ შეიზღუდა დაკავშირებული პირის ცნება. მიგვაჩნია, რომ დაკავშირებული პირი უნდა იყოს მხოლოდ ის ორგანიზაცია ან პირი, რომელსაც გაცხადებული აქვს პოლიტიკური მიზნები და თანხებს ხარჯავს ამ მიზნებიდან გამომდინარე. ამიტომ ამ სახით ფორმულირება შევიტანეთ. დღეს მოქმედი ფორმულირებით, ის პირიც კი, ვინც პოლიტიკურ მოწოდებას ახორციელებს, ითვლება დაკავშირებულ პირად. ეს არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა“, — აღნიშნა ეკა ფოფხაძემ.

საიას წარმომადგენელი ასევე ითხოვს ყადაღის დადების პროცესის დარეგულირებას, რაც სასამართლოს მეშვეობით უნდა მოხდეს და თანხა მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში.

დღეს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი, აგრეთვე, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების მიერ ხელმოწერილი პეტიცია საქართველოს პარლამენტს გადაეცა. პარლამენტის [illegible] ბიუროსთან კი აქცია „ეს შენ გეხება“ გაიმართა.

ნიუსპრესი

# ბუბა კუდავა: ბათუმში მეჩეთის აშენება სახიფათო არაა“

ეკა ირემაშვილი

საქართველოსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყო, რომელიც ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლების აღდგენა რესტავრაციას ითვალისწინებს. ქართული მხარე თურქეთისგან მოითხოვდა ოთხი ძეგლის – იშხანის, ხანძთის, ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენას, აღდგენით სამუშაოებში კი აუცილებლად უნდა ჩართულიყვნენ ქართველი სპეციალისტები. თურქეთმაც თავის მხრივ საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ოთხი მეჩეთის აშენება და აღდგენა ითხოვა. საბოლოოდ თურქეთში ვიზიტით მყოფმა საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და თურქეთის კულტურის მინისტრმა ერთურულ გუნაიმ მიიღეს სიტყვიერი შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთში ორი ქართული ძეგლი – იშხანი და ოშკი ქართველი სპეციალისტების მიერ აღდგება, ხოლო საქართველოში ორი მეჩეთი – აზიზიეს მეჩეთი აშენდება და ახალციხეში არსებული მეჩეთის რესტავრაცია მოხდება.

ყველაზე დიდი აღშფოთება როგორც საქართველოს საპატრიარქოში, ასევე ქართველ საზოგადოებაში ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობამ გამოიწვია. საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა მიუღებელია. საპატრიარქომ ხელისუფლება მათი მოლაპარაკებებში ჩაურთველობაშიც დაადანაშაულა და განაცხადა, რომ თავის მხრივ, საპატრიარქო აღარ ითხოვს ხახულის ეკლესიის (ტაოს მხარე) ფუნქციონირების საკითხს. საპატრიარქომ მოითხოვა, მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე), მცირე ზომის ბაზილიკის მათივე თანხებით აღდგენა-ამოქმედება.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადებას, თავის მხრივ, უპასუხა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და განაცხადა, რომ აზიზიეს მეჩეთი მუსლიმანი ქართველებისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ოშკი და იშხანი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი გვირგვინია და ისინი უკვე განადგურების პირას არიან მისული. სამინისტროს აზრით, ამ ძეგლების საბოლოო განადგურება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა ქართველი ერისათვის. სამინისტრო გმობს მცდარად გავრცელებულ ინფორმაციებსაც და აზუსტებს, რომ ამჟამად ახალციხეში ხორციელდება არა მეჩეთის მშენებლობა, არამედ ციხის ტერიტორიაზე ჯაყელების ისტორიული სასახლის და ქართული ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა. აზიზიეს მეჩეთი კი აღდგენილი იქნება ისტორიული მასალების მიხედვით და მისი რეკონსტრუქციის ადგილის განსაზღვრა საქართველოს მხარის პრეროგატივას წარმოადგენს. კულტურის სამინისტრომ თავის ოფიციალურ განცხადებაში ისიც დააზუსტა, რომ საქართველოს საპატრიარქო, ისევე, როგორც ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობით დაინტერესებული საზოგადოება, მუდმივად საქმის კურსში იყო მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. უკანასკნელი შეხვედრა ამ თემაზე კულტურის მინისტრმა საპატრიარქოში გასულ კვირას გამართა, ვინაიდან საკითხი ეხებოდა ეროვნულ საქმეს, ქართული ძეგლების გადარჩენას და სამინისტროსთვის საპატრიარქოს აზრი მნიშვნელოვანია. როგორც ნიკოლოზ რურუას უწყება აღნიშნავს, მომავალშიც სამინისტრო მზად არის ყველა დაინტერესებულ მხარეს სრული ინფორმაცია მიაწოდოს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აზუსტებს, რომ ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმება არ შეიცვლება.

საქართველო-თურქეთის მოლაპარაკებები დაპირისპირების მიზეზი გახდა საქართველოს პარლამენტშიც. მოლაპარაკებების მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა სხდომაზე დიდი პოლემიკა გამართეს. ისტორიკოსთა აზრით კი, საქართველო ყველაფერზე უნდა წავიდეს, რომ ტაო-კლარჯეთში არსებული უნიკალური ქართული ძეგლები დანგრევას გადაარჩინოს.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბუბა კუდავა უკვე წლებია ტაო-კლარჯეთში არსებულ უნიკალურ ქართულ ძეგლებს სწავლობს, ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ სწორედ ბუბა კუდავას ესუბრა.

**ბუბა კუდავა:**

– პირველ რიგში აღვნიშნავ ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლების მდგომარეობას. პრობლემა ის გახლავთ, ეს ტერიტორია XVI საუკუნის მეორე ნახევარში რომ დაიკავა ოსმალეთის იმპერიამ, მას შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისამდე სულ იყო ოსმალეთის ომპერიის შემადგენლობაში. წყაროებით ვიცით, რომ გარკვეულ პერიოდში, მაქსიმუმ XVII საუკუნემდე, რამდენიმე ეკლესია-მონასტერი იყო მოქმედი, თუმცა ისინი თანდათან უქმდებოდა, მოსახლეობა იცვლიდა სარწმუნოებას, ზოგი ძალდატანებით, ზოგი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზებით. შესაბამისად, იქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, ძირითადად ეკლესია-მონასტრები კარგავდა ფუნქციას. ციხეების დიდმა ნაწილმა ფუნქცია შეინარჩუნა XIX საუკუნის ჩათვლით, ამიტომ ისინი შედარებით უკეთ არის შემონახული. ეკლესია-მონასტრები ინგრეოდა სხვადასხვა მიზეზებით – მოუვლელობის, უყურადღებობის გამო, იყო განზრახ დაზიანების შემთხვევებიც. ეს პროცესი გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ამ ტერიტორიის ნაწილი გადადიოდა ხელიდან ხელში რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის, თუმცა იყო პერიოდი, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც ფლობდა ტაოს ნაწილს; თუმცა, დღეს გვაქვს ის პოლიტიკური საზღვარი, რომელიც გვაქვს. ახლა ეს უნიკალური ძეგლები, რომლებმაც ძალიან მძიმე გზა გამოიარეს, არიან თურქეთის ტერიტორიაზე. 30-იან წლებში თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ფიზიკურად გაივლო ჩაკეტილი საზღვარი და ქართულ ძეგლებზე არა თუ ზრუნვა, მათი შესწავლაც კი ქართველი მეცნიერებისთვის შეუძლებელი იყო. ეს ძეგლები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბევრი ძეგლი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის შედეგებით ვიცით, დღეს საერთოდ აღარ არსებობს.

***– ბევრია ასეთი?***

– სამწუხაროდ, ბევრია. ამ რეგიონმა ძალიან მძიმე ისტორია გამოიარა, ამიტომ დღეს რეალობაც მძიმეა. ზოგიერთი ძეგლი საერთოდ აღარ არსებობს და საძირკვლამდეა დანგრეული, ზოგიერთი ძეგლის ადგილას უკვე სულ სხვა შენობა დგას. არის ძეგლები, რომლებიც ძალიან არის დაზიანებული და მხოლოდ ნანგრევების სახით არის ჩვენამდე მოღწეული და არის ძეგლები, რომლებიც, ასე თუ ისე, ნორმალურ მდგომარეობაში არიან. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები შეიძლება ოთხ კატეგორიად დავყოთ – პირველი კატეგორიის ძეგლები, რომლებიც საერთოდ აღარ არსებობს, მეორე კატეგორიაშია ნანგრევების სახით ჩვენამდე მოღწეული ძეგლები. მესამე კატეგორიაშია ძეგლები, რომლებიც ძალიან არის დაზიანებული და მეოთხე კატეგორიაში მოვაქცევდი ძეგლებს, რომლებიც შედარებით უკეთესად არის ჩვენამდე მოღწეული, იმის გამო, რომ იქ ბოლო დრომდე იყო მეჩეთი და ახლაც არსებობს. თუმცა იდეალურ მდგომარეობაში არც ერთი არ არის. როცა ტაძრების მდგომარეობას გავადევნებთ თვალს, გასაგები ხდება, რომ აუცილებელია მესამე კატეგორიის ძეგლები აღვადგინოთ და გადავარჩინოთ.

***– რომლებია ეს ძეგლები?***

– ოშკი, იშხანი, ხანძთა, ოთხთა ეკლესია, ბანა. მოლაპარაკება მიდიოდა პირველ ოთხ ტაძარზე. მიუხედავად იმისა, რომ ბანა ნანგრევების სახით არის მოღწეული ჩვენამდე, მასაც შევიყვანდი სასწრაფოდ გადასარჩენ ტაძართა სიაში. მართლია მისი მთლიანი კორპუსი არ დგას, მაგრამ შეიძლება ის დღე-დღეზე ჩამოიქცეს. ბოლო წლებში მას გამოაცალეს ბოძები და ეს დღესაც გრძელდება. სულ რაღაც ერთ ბოძზეა შეყენებული მთელი აღმოსავლეთი აფსიდა. ჩემთვისაც და საზოგადოებისთვისაც ასეა ცნობილი, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები ოთხ ძეგლზე მიმდინარეობდა. ამათგან ხანძთის გუმბათი უკვე ჩამოიქცა, თუმცა კორპუსი ასე თუ ისე დგას. ამ საკითხზე კამათი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ მადლობა ღმერთს, იმაზე არავინ კამათობს, რომ ამ ძეგლებს რაიმე ფორმით სასწრაფოდ უნდა მივხედოთ. როცა მოლაპარაკება დაიწყო ქართულმა მხარემ თურქეთთან, მაშინვე დღის წესრიგში დადგა გაცვლითი პრინციპი – ქართულმა მხარემ უნდა აღადგინოს თავისი ძეგლები და თურქეთმა უნდა აღადგინოს ოსმალური პერიოდის მეჩეთები.

***– ეს ლოგიკური არ არის?***

– კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს ცალკეული ნაწილები ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა და, შესაბამისად, იქ მათი ძეგლები შენდებოდა, ამიტომ თურქეთის ინტერესებიც ლოგიკურია. როცა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ეს გაცვლითი ნაწილი არის მიუღებელი, მათ კარგად უნდა განუმარტოთ, თუკი ჩვენ გაცვლითი პრინციპი არ გვინდა, ამას რა მოყვება. თურქეთმა შეიძლება ჯერ ვერ მოიცალოს და მის პრიორიტეტებში აღარ შევიდეს ტაოში არსებული ქართული ძეგლები. თურქეთს აქვს უამრავი სხვადასხვა ცივილიზაციის, ხალხთა რელიგიური ძეგლები. მათი დიდი ნაწილი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, თურქეთში ძეგლთა დაცვის საკითხებს ბოლო პერიოდამდე ვერ ექცეოდა შესაბამისი ყურადღება, ბოლო ათწლეულებში მიხვდნენ, რომ მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ამ კონტექსტში შეიძლება თურქეთისთვის ტაოში არსებული ქართული ძეგლები არ იყოს მნიშვნელოვანი. გამორიცხული არ არის, ახლა თუ არ მოვილაპარაკეთ, მერე ძალიან გვიანი იყოს. შეიძლება თურქეთმა მოიცალოს და როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ, ისეთი სამუშაოები ჩაატაროს. თურქეთში არის კონსტანტინოპოლის ძეგლის კედლები, რომელიც საოცრად



არაპროფესიონალურად არის აღდგენილი. არ არის გამორიცხული, ჩვენც მივიღოთ საშინლად არაპროფესიონალურად აღდგენილი ქართული ძეგლები. ჩვენ ვიცით, რომ ძეგლის დაზიანების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება არასწორი რესტავრაციაც იყოს. უნიკალური ძეგლი დანგრევით დაზიანდება თუ არაპროფესიონალური რესტავრაციით საბოლოოდ დავკარგავთ ჩვენთვის ღირებულს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ ახლა გვაქვს ორი საკითხი, თუ უარს ვიტყვით, შეიძლება თურქეთმა ვეღარ მოიცალოს ქართული ძეგლებისთვის, ან როდესმე მოიცალოს, ჩვენი სპეციალისტები ვერ ჩაერთონ ამაში, რაც ძეგლის დაზიანებას გამოიწვევს. ძეგლის აღდგენა, მარტო მისი ფრესკების და მოხატულობის აღდგენა არ არის. ძეგლის რესტავრაციის პროცესი პირველ რიგში მისი შესწავლაა, როცა ხარაჩოები კეთდება, იქ უფრო ახლოს მიდიხარ კედლებთან, შეგიძლია აზომო, გამოიკვლიო.

***– რამდენად მართებულად მიგაჩნიათ საქართველოში მეჩეთების აღდგენა-აშენება?***

– ჩვენთან არსებული ამ ძეგლების აღდგენა მაინც მოგვიწევს, იმიტომ, რომ ისინი ჩვენი კულტურის ძეგლებიც არის. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს – ჩვენ დასაკარგი დრო არ გვაქვს – ოშკი ჩამოქცევის პირას არის, იშხანი ასე თუ ისე უკეთეს მდგომარეობაშია, თუ ამას უკეთესობა ჰქვია. ჩვენ ხომ დაზღვეული არ ვართ მიწისძვრისგან, დიდთოვლობისგან, სხვა ტიპის ჩარევებისგან. კი, შუა სოფელში დგას ოშკიც და იშხანიც, მაგრამ მისვლიდან მისვლამდე ჩანს, რომ რაღაცეები იკარგება. ჩვენი ძეგლები ტაოში არის უპატრონოდ.

***– მეჩეთები რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის?***

– ეს მოლაპარაკების საკითხები მეტ-ნაკლებად პოლიტიკური საკითხებია. ერთადერთი, რაც სადავო საკითხია, ეს გახდა აზიზიეს მეჩეთის აღდგენა ბათუში. ეს კონტექსტიდან ამოვარდნილია, თუკი საუბარი ეხება რესტავრაციას, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა საუბარია კომუნისტების მიერ მთლიანად დანგრეული მეჩეთის აშენებაზე. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ – თავისი ისტორიული, არქიტექტურული და სულიერი მნიშვნელობით, გაცილებით უფრო ღირებული ძეგლებია ოშკი და იშხანი. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ როგორც ჩვენ გვაქვს ჩვენი სურვილები, ისე თურქეთს აქვს თავისი სურვილები. ეს ძეგლები ხომ ჩვენ ამოვირჩიეთ? თურქეთსაც რომ ჰქონდეს თავისი სურვილები საქართველოში ოდესღაც არსებული თუ შემორჩენილი ძეგლების მიმართ, ესეც ლოგიკურია. იმასაც ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენ გვაქვს უფლება, ამ მოლაპარაკებაზე უარი ვთქვათ.

***– და უნდა ვთქვათ უარი?***

– ქართულ სახელმწიფოს აქვს ამის შესაძლებლობა, რომ თქვას ამ მოლაპარაკებაზე უარი, მაგრამ ცოტა ლოგიკურად ხომ უნდა ვიფიქროთ? ხომ არ არის იმის საფრთხე უარის თქმის შემთხვევაში, რომ ის აზიზიეს მეჩეთი ბათუმში გარკვეული დროის შემდეგ 20, 30, 50 წლის შემდეგ მაინც აშენდეს და იმ დროს ოშკი უკვე დანგრეული იყოს. ცხოვრება იცვლება, სხვადასხვა შესაძლებლობები და სხვადასხვა შანსებია სხვადასხვა დროს. ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, როცა შანსი ვერ გამოვიყენეთ, თუნდაც აფხაზეთში. ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ეს 40 წლიანი პერიოდი ჩვენ ვერ გამოვიყენეთ, მაშინ უფრო მარტივი იყო ამ ტერიტორიაზე ექსპედიციების მოწყობა, ფოტოების გადაღება, იქ არსებული ძეგლების შესწავლა. ეს შანსი არ გაუშვეს ხელიდან მხოლოდ ერთეულებმა – ექვთიმე თაყაიშვილმა, ნიკო მარმა, დიმიტრი ბაქრაძემ და სხვა ნაკლებად ცნობილმა ადამიანებმა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ზოგიერთი ძეგლი ისე განადგურდა, მათი ფოტოც არ არსებობს, შესწავლილიც არ არის. ექვთიმე თაყაიშვილს და ნიკო მარს ხანდახან მხოლოდ რამდენიმე საათი ჰქონდათ ძეგლების შესასწავლად, ის ძეგლები დღეს აღარ არსებობს, ან არსებობს ძალიან დანგრეული, მაგრამ რაც მათ ვერ შეისწავლეს, ჩვენ ვეღარ შევისწავლით. ეს შანსი ჩვენც რომ გავუშვათ ხელიდან, გვაქვს კი ამის უფლება?

***– რატომ აპროტესტებენ მეჩეთის მშენებლობას ბათუმში?***

– ვინც ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების წინააღმდეგია, აღშფოთებულია და პროტესტს გამოთქვამს, სად იყო მაშინ, როცა ათეულობით მეჩეთი აშენდა საქართველოში ბოლო ოცწლეულში? ბოლნისის სიონთან ძალიან ახლოს, სულ ახლახან აშენდა უზარმაზარი მეჩეთი. ის სიმაღლით უფრო დიდია, ვიდრე ბოლნისის სიონი. თუკი ეს ალმაშფოთებელია, რატომ არიან ჩუმად? თუმცა, არა მგონია, ის აღმაშფოთებელი იყოს, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელი აშენებს თავის სალოცავს. აჭარის მთიან სოფლებში ხომ აშენდა მეჩეთები? სად იყო მაშინ ეს ხალხი? მეჩეთების შენება საფრთხე კი არ არის, ეს არის ჩვენი დაუდევრობა, რომ ასეთ დროს ჩვენ გაცვლითი პრინციპის საკითხი არ დავაყენეთ თუნდაც აზერბაიჯანთან ან თურქეთთან. აქ თუ ათეულობით მეჩეთი შენდება, ჰერეთში ქართულ მოსახლეობას აქვს ერთი-ორი მოქმედი ეკლესია. სჯობს სიფხიზლე ასეთ დროს გვქონდეს ხოლმე და არა მაშინ, როცა უზარმაზარი მნიშვნელობის ქართული ძეგლების გადარჩენაზეა საუბარი.

***– იქნებ კომუნიკაციის პრობლემა იყო?***

– შეიძლება ამის პრობლემაც იყო, მაგრამ ეს არ ვიცი. შეიძლება გარკვეული ძალები დაინტერესებული არიან, რომ ჩაიშალოს ეს მოლაპარაკება, მაგრამ ერთი რამ არის, როგორც ჩვენთვის არის პრინციპული საკითხი ოშკის გადარჩენა, ასევე პრინციპული საკითხი აღმოჩნდა აზიზიეს მეჩეთი თურქეთისთვის. გვაქვს ორი გზა – ან ერთმანეთის მოსაზრებებს მეტ-ნაკლებად ანგარიში გავუწიოთ და შედგეს მოლაპარაკება, ან დავრჩეთ ჩვენს პრინციპებზე და ერთმანეთს დავემშვიდობოთ. მომისმენია ისეთი მოსაზრებებიც, როცა ძეგლებისადმი ცოტა უცნაური დამოკიდებულებაა. სადაც აქამდე იყო ასეთ მდგომარეობაში, ახლაც იყოსო, ამბობენ. შევახსენებ ამ საზოგადოებას, რომ აქამდე შანსი არ იყო, ახლა კი ამის შანსი გვაქვს. წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ გვედგას ალავერდის, სვეტიცხოვლის, გელათის გუმბათების ჩამოქცევის საფრთხე, ასეთი გულგრილები იქნებოდნენ? რატომ ასეთი გულგრილობა, რადგან ტაოშია და რადგან ბევრს არ უნახავს? ალბათ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნახავთ ოშკი, მაგრამ მაინც გულგრილები რჩებიან, თუმცა მე ასეთებს არ ვიცნობ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვინც შედარებით გულგრილად ეკიდება ამ საკითხს, მათ ეს ძეგლები არ უნახავთ. ოთხთა ეკლესია დღეს კიდევ რომ დგას, ეს ჩემთვის ნამდვილი სასწაული და მერვე საოცრებაა. წარმოიდგინეთ, მეათე საუკუნის გადახურვაა, რომელსაც ბოლო ხუთი საუკუნე, შეიძლება მეტიც, რესტავრაცია არ ჩატარებია. აწვიმს, ათოვს, არავინ ხვეტავს, არავინ უვლის, ჩადის წყალი, იჟღინთება კედლები, მაგრამ მეათე საუკუნის ძეგლი მაინც თითქმის ხელუხლებლად დგას. ჩვენ გვაქვს უფლება, რომ XXI საუკუნეში ეს ძეგლი ჩვენ თვალწინ ჩამოიქცეს მარტო იმიტომ, რომ ვერ დავსხედით და ვერ შევჯერდით? ქართველებშია ისევ პრობლემა, მოდით, ჯერ ჩვენ შევჯერდეთ და მერე ველაპარაკოთ თურქეთს.

***– არის იმის შანსი, რომ ოშკის და სხვა დანარჩენი ძეგლების აღდგენის შემთხვევაში ისინი მოქმედი გახდნენ?***

– უკვე არის საუბარი იმაზე, რომ არსებობს საფრთხე, აზიზიეს მეჩეთი ჯერ მუზეუმად აშენდეს და მერე გახდეს მოქმედიო. რატომ არ შეიძლება ოშკიც აღდგეს და გახდეს მოქმედი? ჩვენც ხომ შეგვიძლია ეს საკითხი დავაყენოთ? არსებობს აზრი, ბათუმში მრევლია, ოშკში მრევლი არ იქნებაო. ათონზე რომ გვქონდა მონასტერი, იქ მრევლი გვყავდა? მაგრამ ქართველთა მონასტერი ხომ იყო? პეტრიწონში, უცხოეთის ქართულ სავანეებში, სინას მთაზე, შავ მთაზე, მრევლი გვყავდა? განა გრიგოლ ხანძთელის მიერ გაჩაღებულ ასეთ კერებში, როგორიც არის ტაო-კლარჯეთის სავანეები, წირვა-ლოცვის აღდგენა სასწაული არ არის ამ ეპოქისთვის? კიდევ ერთი რამ გვავიწყდება ჩვენ – თუკი ეს მოლაპარაკებები ბოლომდე მივიდა, იქნება ძალიან კარგი პრეცედენტი, შემდეგ შეგვიძლია ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ და დავაყენოთ ისეთი ძეგლების აღდგენის საკითხები, რომლებიც სულ დანგრეულია. თუკი მთლიანად დანგრეული აზიზიეს მეჩეთის აშენება სურს თურქეთს, ხომ შეგვიძლია, ჩვენც მოვითხოვოთ აღდგეს ანჩა – ანჩის საეპისკოპოსო, უზარმაზარი მნიშვნელობის ქართული საეკლესიო ცენტრი. თანამშრომლობას თანდათან მიყავხარ ახალ ეტაპებამდე, გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა უფრო რთულია და დიდი დროც სჭირდება, ეს დრო კი შესაძლოა ზოგიერთი ძეგლისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს.

# „უიტნი, მე შენ მიყვარხარ!“

2012 წლის 11 თებერვალს მსოფლიო უიტნი ჰიუსტონის სიკვდილმა შეძრა. ცნობილი ამერიკელი მომღერალი და მსახიობი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. ცხედარი სასტუმრო „ბევერლი ჰილტონის“ ერთ-ერთ ნომერში აღმოაჩინეს. როგორც ცნობილია, მას ნარკოტიკებთან ჰქონდა შეხება და, სავარაუდოდ, სწორედ ნარკოტიკები გახდა მისი სიკვდილის მიზეზი.

უიტნი ელიზაბეტ ჰიუსტონი (დ. 9 აგვისტო, 1963, ნიუარკი, ნიუ ჯერსი) ამერიკელი პოპ და რიტმ-ენდ-ბლუზ მომღერალი, მსახიობი, კინოპროდიუსერი და მოდელი იყო.

მსოფლიო მასშტაბით მას გაყიდული აქვს დაახლოებით 170 მილიონი ალბომი და სინგლი.

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში იგი შესულია, როგორც კომერციული თვალსაზრისით ყველა დროის ყველაზე წარმატებული რიტმ-ენდ-ბლუზის შემსრულებელი ქალი.

მომღერალი ცნობილია თავისი ძლიერი ხმის დიაპაზონით, რომელიც კოლორატურა სოპრანოდაა მიჩნეული. ის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მომღერალია, რომელსაც ბილბორდის ცხელ 100-ეულში ზედიზედ შვიდი ნომერი 1 ჰიტ-სინგლი ჰქონდა.

მუსიკალური შესრულების გარდა, ჰიუსტონი აღიარებული მსახიობი, პროდიუსერი და ფილანთროპი იყო.

2012 წლის 11 თებერვალს ჰიუსტონი „ბევერლი ჰილტონის“ სასტუმროში (ბევერლი ჰილზი, კალიფორნია) უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინეს. ადგილობრივმა პარამედიკოსებმა ხელოვნური სუნთქვის მეთოდის გამოყენების შემდეგ განაცხადეს, რომ მომღერალი გარდაცვლილი იყო. უიტნის გვამი ამოიღეს აბაზანიდან და ექსპერტიზას გადასცეს, რათა დადგენილიყო, თუ რა იყო გარდაცვალების მიზეზი. ადგილობრივი პოლიციის თქმით, გვამზე ძალადობის ნიშნები არ ყოფილა.

გარდაცვალების მიზეზის დასადგენად ექსპერტიზა უკვე დაიწყო და პირველი კომენტარიც გაკეთდა. ექსპერტების თქმით, საბოლოო განცხადების თქმისთვის მათ გარკვეული პერიოდი დასჭირდებათ.

– ჩვენ დავიწყეთ უიტნი ჰიუსტონის ცხედრის ექსპერტიზა. ჯერ ვერ ვიტყვით გარდაცვალების ზუსტ მიზეზს, რადგან ჩასატარებელია ტოქსიკური ანალიზი. მას 6-დან 8 კვირა დასჭირდება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის დაიხრჩო, მაგრამ საბოლოო დასკვნას ექსპერტიზა გამოავლენს, – განაცხადა სამედიცინო ექსპერტმა ედ ვინთერიმ.

ექსპერტიზის საბოლოო დასკვნამდე ვრცელდება ინფორმაცია, რომ პირველადი შემოწმების შედეგად პოპვარსკვლავის ფილტვებში წყალი აღმოჩნდა.

ერთ-ერთ ვერსიად უკვე განიხილავენ იმასაც, რომ ნასვამ მომღერალს წყლით სავსე აბაზანაში ჩაეძინა.

მომღერლის ნომრიდან ამოღებულია დამამშვიდებელი პრეპარატი ქსანაქსი, რომელიც, ექსპერტების აზრით, ალკოჰოლთან ზემოქმედებისას ადამიანის გათიშვასაც გამოიწვევდა.

პარალელურად, ცნობილი ხდება, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ ნერვული აშლილობით უიტნის 18 წლის ქალიშვილი, ბობი კრისტინა ბრაუნი, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოკლე მიმართვა გაავრცელა ჰიუსტონის ყოფილმა ქმარმა ბობი ბრაუნმა. მან ჟურნალისტებს სთხოვა, მისი ქალიშვილის მიმართ ზედმეტი ყურადღებისგან თავი შეიკავონ.

ბევერლი ჰილზმა ამ თემასთან დაკავშირებით უსაფრთხოების დაცვა მოითხოვა. ასე რომ, პოლიციის მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გავრცელდება.

უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალება იყო მთავარი თემა ლონდონში გაშლილ წითელ ხალიჩაზეც. მომღერალი მუსიკისა და კინოს ვარსკვლავებმა ბრიტანული კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალზე გაიხსენეს. ბაფტას შოუზე შეკრებილი აუდიტორია ლეგენდარული მომღერლის დაკარგვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა.

## უიტნი ჰიუსტონი – ამერიკის „ოქროს ხმა“

ლოს-ანჯელესის სასტუმროში მუსიკის ინდუსტრიის თაყვანისმცემლებმა „ამერიკის ოქროს ხმად“ წოდებულ მომღერალს პატივი მიაგეს.

ბევერლი ჰილზში მდებარე ჰილტონის სასტუმროში შეკრებილებს ჰიუსტონის პროდიუსერმა და დიდი ხნის მეგობარმა კლაივ დევისმა მიმართა. შვიდასი კილომეტრის დაშორებით კი მისისიპის შტატში შაბათის კონცერტის გახსნის წინ ჰიუსტონის ყოფილმა მეუღლემ ბობი ბრაუნმა თაყვანისმცემლების წინაშე განაცხადა:

– უიტნი, მე შენ მიყვარხარ და ყველაზე ძალიან ახლა, ამ სცენაზე გამოსვლა და სიმღერა მიჭირს.

ნარკოტიკები და ალკოჰოლი, უმართავი ქმარი, არანორმალური ცხოვრების წესი და სცენაზე დაბრუნების გაუნელებელი სურვილი – სწორედ ეს გახლდათ უიტნი ჰიუსტონის ბოლოდროინდელი ცხოვრების ერთგვარი წვრილი წითელი ხაზი, ის კვალი, რომელსაც დიდებული მომღერალი დაღუპვამდე, განადგურებამდე, დავიწყებამდე უნდა მიეყვანა.

ნაწილობრივ ასეც მოხდა, თუმცა, დავიწყება სწორედ ის პუნქტია, რომელიც უიტნი ჰიუსტონის შემთხვევაში არასდროს შესრულდება. მორალური განადგურება კი რამდენიც გინდათ – იყო დრო, როდესაც ალარავის ახსოვდა, რომ ის ცოცხალი იყო, სუნთქავდა, დადიოდა, ზოგჯერ, ალბათ, ღიღინებდა კიდეც.



ნარკომანი და ლოთი ქმრის გვერდით ცხოვრებამ მისი კარიერა სრულიად გაანადგურა, მორალურად და ფიზიკურად გამოფიტა, თუმცა, მაინც შეძლო ცხოვრების ამ წესისგან გათავისუფლება და სცენისკენ ნაბიჯებიც გადადგა.

აქ უკვე უმადური მსმენელი დახვდა – უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაგეგმილი მისი ყველა კონცერტი, პრაქტიკულად, ჩაიშალა – ან თავად ვერ გრძნობდა თავს კარგად, ან მის ცუდ ფორმაში ყოფნის გამო განაწყენებული მსმენელი მოითხოვდა ზედმეტად ბევრს. იყო ახალი ალბომიც, საკმაოდ წარმატებული, თუმცა, მაინც არაფრის მომტანი – უიტნი ჰიუსტონი ბოლო დროს გაკოტრებული ვარსკვლავის ტიტულს ატარებდა.

თუმცა, ეს მხოლოდ მატერიალური გაკოტრება იყო. უიტნი ჰიუსტონი დღეს, ისევე, როგორც გუშინ და მომავალშიც, მსოფლიო სცენის უდიდესი ვარსკვლავია და, თუ არ გჯერათ, ამ სიტყვებში დასარწმუნებლად, უბრალოდ, გადახედეთ დღევანდელ შოუბიზნესს, მსოფლიო სცენას, ვისაც იქ დაინახავთ, ყველა ერთად შეკრიბეთ და უიტნი ჰიუსტონს შეადარეთ – ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანი ქულა სწორედ ამ ქალბატონის იქნება.

პოპულარობა უეცრად არ მოსულა. კრიტიკოსებს ეგონათ, რომ გოგო კლაივის ხელში მარიონეტი იყო. სინამდვილეში დევისს უიტნის ნიჭის მართლა სჯეროდა, როცა ერთხელ ჰკითხეს, რატომ გჯერათ, რომ უიტნი ვარსკვლავი გახდებაო, უპასუხა: „თქვენ ან გაქვთ ეს, ან არ გაქვთ. მას ეს აქვს“.

## მოგონებები

– დედას არ დაუჟინებია, მომღერალი უნდა გახდეო. საერთოდაც არაფერი დაუჟინებია. ყველა მიზანს მხარს უჭერდა, რომელიც ჩემს შესაძლებლობებთან იყო ახლოს. მედდობა რომ მდომებოდა, იმაზეც არაფერს იტყოდა. სანიტრობა რომ მესურვებინა, იმასაც არ დამიშლიდა (1996).

– მამაკაცებზე ბევრი რამ გავიგე ჩემი ძმებისა და მამისგან. მათ მასწავლეს, რას ფიქრობენ მამაკაცები ქალებზე. არასდროს მეუბნებოდნენ: „გადი, ეს შენი მოსასმენი არ არის“.

– მახსოვს, კლაივთან ერთად შოუზე მიგვიწვიეს. ძალიან ვღელავდი. ეს ჩემი დებიუტი იყო შოუზე. მერე მომესმა, როგორ ლაპარაკობდა კლაივი ვიღაცაზე და ამბობდა, 19 წლისაა, ელეგანტური, მგრძნობიარე, უცოდველი, უჩვეულოდ ნიჭიერი და თან ღვთაებრივიო. მივედი და ვიკითხე, ვისზე ამბობს-მეთქი, მიპასუხეს – შენზეო (2000).

## ფაქტები

ბავშვობაში ძმასთან თამაშის დროს დარბოდა, დახტოდა და მოულოდნელად ისე დაეცა, რომ ტანსაცმლის საკიდი კისერში შეერჭო. საავადმყოფოში დააწვინეს. ექიმები ამბობდნენ, თუ გადარჩა, ლაპარაკს ვერასდროს შეძლებსო.

როცა მოდელად მუშაობდა, ყველა იმ ფირმასთან თანამშრომლობაზე თქვა უარი, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას უკავშირდებოდა. მაშინ იქ აპარტეიდი ბატონობდა.

პირველი ჩანაწერი: სიმღერა „მემორის“ ჩაიწერა მაშინ, როცა 17 წლის იყო.

80-იანების ბოლოს რობერტ დე ნირო ყოფილა უიტნიზე შეყვარებული: „ის ყველაზე სექსუალური ქალია იმათ შორის, ვინც ოდესმე მინახავს. შესანიშნავია. მინდა, ჩემთან ერთად იყოს“, – უთქვამს დე ნიროს კოლეგებისთვის.

ბობი ბრაუნამდე უიტნის რომანი ედი მერფისთან, ჯერმაინ ჯექსონთან და ფეხბურთის ვარსკვლავ რენდელ კანინგჰემთან ჰქონდა.

1985 წელს სერჟ გენსბურგთან დაკავშირებით სერიოზული კურიოზი მოხდა: ფრანგი მთვრალი იყო და ტელევიზიით პირდაპირ ეთერში უიტნის მისამართით თქვა: „აი ვონთ თუ ფაქ იუ“, რამაც უიტნი შოკში ჩააგდო.

1991 წელს უიტნი „ფიფლის“ 50 ყველაზე ლამაზი ადამიანის სიაში აღმოჩნდა.

უიტნი ამერიკული წითელი ჯვრის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო.

როცა თხოვდებოდა, სტუმრებს უთხრა, საჩუქრების ნაცვლად საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ფული ჩარიცხეთო.

„პირადი დაცვის“ სცენარი 25 წლით ადრე, ლოურენს კასდანს დაიანა როსისთვის დაუწერია. ფილმი არ გადაიღეს მანამ, სანამ კევინ კოსტნერმა არ გადაწყვიტა, მისი პროდიუსერი გამხდარიყო. რეიჩელის როლზე უიტნი დაითანხმა: „ორ რამეს შევპირდი: რომ ფილმში მასთან ერთად ვიქნები და რომ ეს არ იქნება წარუმატებლობა, რადგან მარცხს ჩემ გვერდით ვერ ვიტან“, – იხსენებს კოსტნერი. „პირად მცველს“ უდიდესი წარმატება მოჰყვა. ძნელი წარმოსადგენია მომღერლის უფრო დიდი წარმატება კინოში. პრემიერამ მხოლოდ ერთ კვირაში 27 მილიონი მოაგროვა. წლის ბოლოსთვის – 200 მილიონი მთელ მსოფლიოში. ფილმის საუნდტრეკი 7 ახალ სიმღერას შეიცავდა, 5 მათგანი სინგლებად გამოვიდა. ერთ-ერთმა (აი ვილლ ოლვეის ლავ იუ) ყველა რეკორდი მოხსნა, კვირაში თითქმის მილიონი ცალი იყიდებოდა.

1994 წლის 4 მარტს ქალიშვილი გაუჩნდა, მაგრამ მაშინ ტურნე არ გადაუდია. ძალიან ხშირად სცენაზე ქმართან ერთად იყო, ხოლო ექსკლუზიურ წვეულებაზე ბობი 150 კაცის თანდასწრებით უმღეროდა სერენადას.

1994 წელს უიტნისთან მიახლოება სასამართლოს ძალით აეკრძალა ჩარლზ გილსბერგს. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, უიტნის ქალიშვილის მამა ვარო. ერთი წლის შემდეგ მსგავსი აკრძალვა სტივენ მარიოტმაც მიიღო. ის ირწმუნებოდა, მისი ძმა ვარო.

1996 წელს პირადად ბრუნეის სულთანმა მიიწვია შვილის ქორწილზე და მილიონზე მეტი გადაუხადა.

უიტნის საკუთარი ფირმა ჰქონდა, რომელსაც „ემისგან“ 7 ჯილდო აქვს აღებული. ფლობდა ხმის ჩამწერ სტუდიასაც.

სიკვდილის შემდეგ შინაგანი ორგანოების მეცნიერული ექსპერიმენტებისთვის შეწირვას აპირებდა.

პროფესიული ტრიუმფების მიუხედავად, უიტნისთვის რთული და მძიმე გახდა 2000 წელი. ამბობენ, რომ იანვარში ჰავაის აეროპორტში დააკავეს მარიხუანით.

ჰავაის ინციდენტმა ბულვარული პრესის ინტერესი აღძრა. მალე ჭორი გავრცელდა, პრობლემები ნარკოტიკებთან აქვსო. ერთი რამ ცხადია – როცა რამდენიმე თვის შემდეგ ცოცხლად მღეროდა, ხმასთან დაკავშირებით პრობლემა არ ეტყობოდა. კრიტიკოსები აქებდნენ, ყველა დაჩრდილა, საოცარი სანახავია თავის ვერცხლისფერ კაბაში და დაულეველი ვოკალური მარაგიც უნდა ჰქონდეს, სულაც არ ჰგავს იმ ქალს, რომელზეც ბულვარული პრესა წერსო.

2007-10-22, უიტნი ჰიუსტონის სენსაციური დაბრუნება: როცა მომღერალი ლონდონის სცენაზე ვალენტინოს დიდებული თეთრი კაბით ავიდა, საზოგადოებამ გაკვირვებული შეძახილისგან თავი ვერ შეიკავა. 44 წლის ჰიუსტონი სვაროვსკის საფინალო ჩვენებას აგვირგვინებდა. სუპერვარსკვლავი საიდუმლოდ ჩაფრინდა ნიუ იორკიდან, უჩინრად დაბინავდა ერთ-ერთ სასტუმროში და კონცერტამდე არსად გამოჩენილა, რომ სიურპრიზი არ ჩაშლილიყო:

– დარბაზში ყველა გაოგნებული იყო, აღტაცების ნიშნად ისეთი ვარსკვლავებიც კი ყვიროდნენ, როგორებიც კეიტ მოსი, ლილი ალენი და ნაომი კემპბელი არიან. სტუმრები მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ.

ბოლო წლებში უიტნის ბევრი პრობლემა ჰქონდა ქმართან, ბობი ბრაუნთან. საავადმყოფოში მკურნალობაც მოასწრო, ქმარსაც გაეყარა, კრისტინაზე მეურვეობის უფლებასაც მიაღწია და 10-მილიონიანი კონტრაქტით ერთხანს მზად იყო, მუსიკის დედოფლის გვირგვინი დაებრუნებინა.

80-იან და 90-იან წლებში უიტნი ჰიუსტონი არაერთხელ გახდა „გრემის“ მფლობელი. მისი ჩანაწერების 170 მილიონი ასლია გაყიდული. 2002 წლიდან კი ახალი არაფერი ჩაუწერია.

ცხოვრება ერთგული „პირადი მცველის“ გარეშე

მის თაყვანისმცემელთა შორის, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ ედი მერფი (მასზე დანიშნული იყო), სერჟ გინზბურგი (რომელთანაც სკანდალურად ცნობილი პირდაპირი ეთერი ჰქონდა), ჯერმაინ ჯექსონი და სხვები. ცოლად კი ბობი ბრაუნს გაჰყვა. ბობი რეპის მომღერლად ითვლებოდა, მაგრამ ერთადერთი, რითაც გამოირჩეოდა და საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა, „ხულიგნური“ ქცევა იყო. მათ ერთმანეთი გასტროლებზე გაიცნეს.

ბობიმ უიტნის მოპარული ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა და რესტორანში დაპატიჟა, იქ კი ოფიციანტი ლამის სიკვდილამდე მიიყვანა, ისე ცემა, რითაც საბოლოოდ მოიგო ქალის გული. ბობის ხასიათი არც ჯვრისწერის შემდეგ შეცვლია.

– ბობი თუნდაც იმითაა კარგი, რომ არ პირფერობს და არაფერი აქვს, რაც შეიძლება დამალოს. ხშირად არც კი ვიცი, მოვა თუ არა შინ, სამაგიეროდ, მასთან არ მოიწყენ, – თავის მართლებასავით აცხადებდა უიტნი, რომელსაც ბობისთან გატარებული „მოუწყინარი“ წლები ძალზე ძვირად დაუჯდა. კარიერაში კი ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო.

სიმღერებმა მომღერლის ალბომიდან „უიტნი“ ჰიტ-პარადის პირველი 7 ადგილი დაიკავა. ამან ლეგენდარული „ბითლზის“ რეკორდი მოხსნა. ეკრანებზე ფილმ „მცველის“ გამოსვლამ კი ჰიუსტონი მეგავარსკვლავად აქცია. ფილმის საუნდთრეკის 33 მილიონი(!) ეგზემპლარი გაიყიდა.

ბობისთან ერთად „მხიარული“ ცხოვრება კი გრძელდებოდა. უიტნიმ რეპეტიციებზე დაგვიანება დაიწყო, უარს ამბობდა სცენაზე გასვლაზე კონცერტის დაწყებიდან 15 წუთით ადრე, ხოლო ლოს-ანჯელესში სცენაზე თავისი საფირმო, მაღალი, გაბმული ნოტი ვერ აიღო.

„ქრონიკული სტრესი, ნარკოტიკები“, – ასეთი იყო ექიმების მიერ გამოტანილი ვერდიქტი. ამ ფაქტმა არა მხოლოდ მომღერლის მამა და ძმა, არამედ თავად ბობი ბრაუნიც შეაშფოთა. მასზე უკეთესად არავინ იცოდა კოკაინსა და მარიხუანას შეჩვეული ორგანიზმის ზნე, ამიტომ უიტნის „გამოხსნაც“ თავად იკისრა. თითქოს შეძლო კიდეც მისი გონზე მოყვანა, მაგრამ... მკურნალობა ძლიერ დიდხანს გაგრძელდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჯერ კიდევ ახალგაზრდა მომღერალი აღარ ჩანდა სცენაზე, ეს კი შეუმცდარად მიანიშნებდა იმაზე, რომ ცუდად იყო. დროდადრო პაპარაცების ობიექტივი თუ აფიქსირებდა ერთ დროს ულამაზეს მომღერალს, რომელიც საკუთარ თავს აღარ ჰგავდა (როგორ ჩანს, ერთგული „პირადი მცველები“ მხოლოდ ფილმებში არსებობენ...)

ბოლო დროს გაღატაკებული მომღერალი მეგობრებისგან ნასესხები ფულით ირჩენდა თავს. რომ არა მეგობრების გულისხმიერება, ჰიუსტონი ქუჩაში აღმოჩნდებოდა. მისი მატერიალური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, მომღერალი ახლობლებთან 100-200 დოლარის სასესხებლად დადიოდა.

არადა, 2001 წელს უიტნი ჰიუსტონმა მუსიკის ისტორიაში უმსხვილესი გარიგება დადო – კომპანია „არისტმა“ 6 ალბომის ჩაწერისთვის მას 100 მლნ დოლარი გადაუხადა.

### *ვარსკვლავები, რომლებმაც გამოხატეს მწუხარება უიტნი ჰიუსტონის სიკვდილთან დაკავშირებით*

ამჯერად გადავხედოთ იმ ვარსკვლავების კომენტარებს, რომლებიც

უიტნი ჰიუსტონის დაკარვის გამო მეტად შეძრწუნებულნი არიან.

„უიტნი ჰიუსტონის დაკარგვა მტკივნეულია. მახსენდება პირველი შეხვედრა უიტნისთან, როდესაც 15 წლის ვიყავი. ის უდავოდ იყო ლეგენდა. ის იყო არა მარტო დიდი მომღერალი, თავდაჯერებული, გაწონასწორებული, საოცრად ლამაზი და ინტელექტუალური, არამედ გულწრფელი და კეთილიც. ყოველთვის პოულობდა დროს ყველასთვის. ყოველთვის მინდოდა, მისნაირი ვყოფილიყავი. მისი ხმა იყო უნაკლო. ძლიერი, მაგრამ – დამამშვიდებელი, ემოციური და კლასიკური. ჩემი ცხოვრების უამრავი მოგონება უიტნი ჰიუსტონის სიმღერებს უკავშირდება. ის ყოველი ჩვენგანისთვის დედოფალია“, – ბიონსე ნოულზი.

„უიტნი განუმეორებელი შთაგონების წყარო იყო ჩემთვის. ძალიან სამწუხაროა, რომ ნარკოტიკები, ცუდი ადამიანები ან ცუდი გავლენა ხალხს სიკვდილისკენ უბიძგებს... ნარკოტიკებმა უიტნის ოცნებები შეიწირა. მან შეიწირა მისი სიყვარული და დედობის გრძნობა. როდესაც ვფიქრობ ელვის პრესლიზე, მერილინ მონროზე, მაიკლ ჯექსონსა და ემი უაინჰაუსზე, სულ მახსენდება უიტნიც, რომელიც სრულიად უმიზეზოდ დავკარგეთ. ნეტა ეს სტრესის გამო იყო? რა ხდება, როდესაც ყველაფერი გაქვს?“ – სელინ დიონი.

„ამაზე ახლა არ შემიძლია საუბარი. ეს შემაძრწუნებელი და დაუჯერებელია. მე არ მჯეროდა, რასაც ვკითხულობდი ტელევიზორის ეკრანზე. ჩემი გული მთლიანად ეკუთვნის უიტნის ოჯახს, – არეტა ფრანკლინი.

„გულგატეხილი და თვალცრემლიანი ვარ ჩემი მეგობრის, შეუდარებელი მის უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალების გამო“, – მერაია ქერი.

„ჩვენ კიდევ ერთი ლეგენდა დავკარგეთ. დიდი სიყვარული და ჩემი ლოცვა მიმართულია უიტნის ოჯახისაკენ. ის ყოველთვის მოგვენატრება“, – კრისტინა აგილერა.

„მე აბსოლუტურად შეძრწუნებული ვარ. მას ჰქონდა ხმა, რომელსაც შეეძლო, ერთი უბრალო ტექსტი, მელოდია ზღაპრად გადაექცია“, – ლიონელ რიჩი.

„ღმერთო ჩემო, ოღონდ უიტნი ჰიუსტონი არა! ყველა დროის საუკეთესო მომღერალი!“ – ნიკი მინაჟი.

„ხვალ გრემის ცერემონიაზე, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ჩვენს ფიქრებში იქნება, იქნება უიტნი ჰიუსტონი“, – ადამ ლევინი.

„ახლა გამაგებინეს ტრაგიკული ამბავი იმის შესახებ, რომ უიტნი ჰიუსტონი გარდაიცვალა. მე ვილოცებ მისი გოგონასა და მისი საყვარელი ადამიანებისთვის“, – კიმ კარდაშიანი.

„ახლა გავიგე ახალი ამბები. ერთ-ერთი საუკეთესო ხმის პატრონი გარდაიცვალა.

ჩემს სიყვარულსა და ლოცვას ვუგზავნი მის ოჯახს“, – ჯასტინ ბიბერი.

ვარსკვლავები მწუხარებას სოციალური ქსელის „თვითერის“ საშუალებითაც გამოხატავენ:

„არ მჯერა, რომ დავკარგეთ ჩვენი კიდევ ერთი უდიდებულესობა. დედოფალი უიტნი ჰიუსტონი. ღმერთმა დაგლოცოს შენს გზაზე, რადგან ახლა ყველაზე მაღალთან (ნაგულისხმევია ღმერთი) ხარ“, – ბასტა რაიამსი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ბებერი კონტინენტი უიქ ენდზე ინგლისს მოისაკლისებს

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.02 | ხეტაფე-ესპანიოლი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 18.02 | რეალი-რასინგი | 1.08 | 10.0 | 26.0 |
| 18.02 | სევილია-ოსასუნა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 19.02 | გრანადა-სოსიედადი | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 19.02 | ბილბაო-მალაგა | 1.9 | 3.4 | 4.1 |
| 19.02 | ხიხონი-ატლეტიკო | 4.2 | 3.25 | 1.91 |
| 19.02 | მალიორკა-ვილიარელი | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 19.02 | ლევანტე-რაიო | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 19.02 | ბარსელონა-ვალენსია | 1.28 | 5.5 | 9.5 |
| 20.02 | სარაგოსა-ბეტისი | 2.45 | 3.25 | 2.87 |

### ხეტაფე-ესპანიოლი

ხეტაფე: **ტრავმ**-რაფა ლოპესი, მიგელ ტორესი(?), ტეპო მასილელა, პედრო ლეონი(?); **დისკვ**-მიჩელი

ესპანიოლი: **ტრავმ**-ვიქტორ სანჩესი(?), ხუან ალბინი, ვალტერ პანდიანი, ალვარო ვასკესი(?), სერხიო გარსია, კრისტიან ლავარესი; **დისკვ**-დიდაკ ვილა

### რეალი-რასინგი

რეალი: **ტრავმ**-ჰამიტ ალტინტოპი; დისკვ-ალვარო არბელოა

რასინგი: **ტრავმ**-არავინ; დისკვ-კრისტიან სტუანი

### სევილია-ოსასუნა

სევილია: **ტრავმ**-დიეგო პეროტი

ოსასუნა: **ტრავმ**-ენეკო სატრსუტეგი, რუბენი, კიკე სოლა; **დისკვ**-რაულ გარსია

### გრანადა-სოსიედადი

გრანადა: **ტრავმ**-რობერტო(?); **დისკვ**-პაპე დიაკატე

სოსიედადი: **ტრავმ**-დავიდ ზურუტუზა

### ბილბაო-მალაგა

ბილბაო: **ტრავმ**-იგორ გაბილონდო, კარლოს გუპრეგი; **დისკვ**-ხავი მარტინესი

მალაგა: **ტრავმ**-რუბენი(?), ჟულიო ბაპტისტა; **დისკვ**-მარტინ დემიჩელისი

### ხიხონი-ატლეტიკო

ხიხონი: **ტრავმ**-ივან ერნანდესი; **დისკვ**-ნაჩო კასესი

ატლეტიკო: **ტრავმ**-ტიაგო(?), ანტონიო ლოპესი(?); **დისკვ**-ფელიპე ლუისი

### მალიორკა-ვილიარელი

მალიორკა: **ტრავმ**-პაუ სენდროსი; დისკვ-ჩიჩო

ვილიარელი: **ტრავმ**-ვაკასო მუბარაქი, ხოსე კატალა, ჯუზეპე როსი

### ლევანტე-რაიო

ლევანტე: **ტრავმ**-ხუანფრანი(?), ხოსე ბარკერო, ხუანლუ; დისკვ-ვისენტე იბორა

რაიო: **ტრავმ**-რობერტო ტრაშორასი, დანი ხიმენესი(?); **დისკვ**-მიკუ, ხოსე მანუელ კასადო, ხავი არიბასი

### ბარსელონა-ვალენსია

ბარსელონა: **ტრავმ**-ხავი(?), სერხიო ბუსკეტსი(?), დავიდ ვილია, იბრაჰიმ აფელაი; **დისკვ**-ხავიერ მასკერანო, დანი ალვეში

ვალენსია: **ტრავმ**-პაბლო ერნანდესი, სერხიო კანალესი

### სარაგოსა-ბეტისი

სარაგოსა: **ტრავმ**-ხუანმა, ანტონიო ამაია, ვადილო; **დისკვ**-სანტოს ირინეი

ბეტისი: **ტრავმ**-კარლოს არანდა; დისკვ-მაურისიო ლანძარო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 19 | 1 | 2 | 75:21 | 58 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 63:16 | 48 |
| 3.ვალენსია | 22 | 11 | 7 | 4 | 35:22 | 40 |
| 4.ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29:29 | 32 |
| 5.ესპანიოლი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:26 | 32 |
| 6.ატლეტიკო | 22 | 8 | 7 | 7 | 31:27 | 31 |
| 7.ოსასუნა | 22 | 7 | 10 | 5 | 26:35 | 31 |
| 8.მალაგა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:30 | 31 |
| 9.ბილბაო | 22 | 7 | 9 | 6 | 34:30 | 30 |
| 10.რაიო | 22 | 8 | 4 | 10 | 27:32 | 28 |
| 11.სოსიედადი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:30 | 27 |
| 12.ხეტაფე | 22 | 7 | 6 | 9 | 22:29 | 27 |
| 13.სევილია | 22 | 6 | 8 | 8 | 22:26 | 26 |
| 14.ბეტისი | 22 | 8 | 2 | 12 | 25:31 | 26 |
| 15.ვილიარეალი | 22 | 6 | 8 | 8 | 23:30 | 26 |
| 16.მალიორკა | 22 | 6 | 7 | 9 | 19:28 | 25 |
| 17.რასინგი | 22 | 4 | 11 | 7 | 18:26 | 23 |
| 18.გრანადა | 21 | 6 | 4 | 11 | 15:30 | 22 |
| 19.ხიხონი | 22 | 5 | 4 | 13 | 20:43 | 19 |
| 20.სარაგოსა | 22 | 3 | 6 | 13 | 18:38 | 15 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.02 | იუვენტუსი-კატანია | 1.33 | 4.75 | 9.5 |
| 19.02 | ლეჩე-სიენა | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 19.02 | ჯენოა-კიევო | 1.91 | 3.25 | 4.33 |
| 19.02 | რომა-პარმა | 1.53 | 3.75 | 7.0 |
| 19.02 | ჩეზენა-მილანი | 6.5 | 3.6 | 1.57 |
| 19.02 | ნოვარა-ატალანტა | 2.65 | 3.1 | 2.75 |
| 19.02 | პალერმო-ლაციო | 2.55 | 3.1 | 2.87 |
| 19.02 | უდინეზე-კალიარი | 2.0 | 3.2 | 4.0 |

### იუვენტუსი-კატანია

იუვენტუსი: **ტრავმ**-სიმონე პეპე(?)

კატანია: **ტრავმ**-დავიდ სუაზო(?), ალესანდრო პოტენცა, ანდრეა კამპანოლო, ჩირო კაპუანი(?)

### ლეჩე-სიენა

ლეჩე: **ტრავმ**-ნენად ტომოვიჩი(?), მასიმილაინო ბენასი(?), კარლოს გროსმიულერი(?)

სიენა: **ტრავმ**-ფრანჩესკო ბოლზონი, ზელკო ბრკიჩი

### ჯენოა-კიევო

ჯენოა: **ტრავმ**-ალბერტო ჯილარდინო, ალბერტო მარჩიორი(?), ემილიანო მორეტი(?), ლუკა ანტონელი, ჩეზარე ბოვო

კიევო: **ტრავმ**-პაოლო სამარკო(?), დარიო დაინელი(?), სანტიაგო მორერო

### რომა-პარმა

რომა: **ტრავმ**-ხუანი(?), ფერნანდო გაგო(?), ნიკოლას ბურდისო; დისკვ-სიმონ კიაერი

პარმა: **ტრავმ**-დანიელე გაპოლა, ფაბიანო სანტაკროცე

### ჩეზენა-მილანი

ჩეზენა: **ტრავმ**-სტივ ფონ ბერგენი, ვანგელის მორასი, დამიან ჯოკოვიჩი(?)

მილანი: **ტრავმ**-ალექსანდერ მერკელი, პატუ(?), ალბერტო აკვილანი(?), მარიო იეპესი(?), ანტონიო კასანო, მეტიუ ფლამინი; **დისკვ**-ზლატან იბრაჰიმოვიჩი

### ნოვარა-ატალანტა

ნოვარა: **ტრავმ**-პაოლო დელაფიორე, დანიელ იენსენი(?), ჯუზეპე მასკარა(?), ტაკაიუკი მორიმოტო, ფრანჩესკო მარიანინი(?); **დისკვ**-მიჩელ მორგანელა, ფილიპო პორკარი, ივან რადოვანოვიჩი

ატალანტა: **ტრავმ**-სიმონე ტირიბოკი(?), ჯაკომო ბონავენტურა(?), კარლოს გარმონა(?), ლუკა გიგარინი(?), ჯანპაოლო ბელინი(?), დანიელე კაპელი, სტეფანო ლუჩიჩი(?)

### პალერმო-ლაციო

პალერმო: **ტრავმ**-ფაბრიციო მიკოლი(?), არმინ ბაჩინოვიჩი

ლაციო: **ტრავმ**-სენად ლულიჩი(?), ტომაზო როკი, სტეფან რადუ(?), ანდრე დიასი(?), ლორიკ კანა, კრისტიან ბროკი, სტეფანო მაური; **დისკვ**-აბდუალიე კონკო, მობიდო დიაკიტე

### უდინეზე-კალიარი

უდინეზე: **ტრავმ**-ანტონიო დი ნატალე, მაურისიო ილსა, გამპიერო პინცი(?), კვადვო ასამოა(?)

კალიარი: **ტრავმ**-მუსტაფა ელ კაბირი(?), ანდრეა კოსუ(?), დანიელე კონტი, პრანჩესკო პისანო, რუი სამპაიო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 5 | 4 | 45:20 | 47 |
| 2.იუვენტუსი | 22 | 12 | 10 | 0 | 33:13 | 46 |
| 3.უდინეზე | 23 | 12 | 5 | 6 | 34:22 | 41 |
| 4.ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 34:22 | 39 |
| 5.ინტერი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:30 | 36 |
| 6.რომა | 23 | 10 | 5 | 8 | 36:27 | 35 |
| 7.ნაპოლი | 23 | 8 | 10 | 5 | 38:24 | 34 |
| 8.პალერმო | 23 | 9 | 4 | 10 | 33:34 | 31 |
| 9.კალიარი | 23 | 7 | 9 | 7 | 22:24 | 30 |
| 10.ჯენოა | 23 | 9 | 3 | 11 | 31:43 | 30 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23:19 | 28 |
| 12.პარმა | 22 | 7 | 7 | 8 | 27:34 | 28 |
| 13.ატალანტა | 23 | 8 | 9 | 6 | 26:27 | 27 |
| 14.კატანია | 21 | 6 | 9 | 6 | 27:29 | 27 |
| 15.კიევო | 23 | 7 | 6 | 10 | 19:30 | 27 |
| 16.სიენა | 22 | 5 | 8 | 9 | 22:22 | 23 |
| 17.ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18:26 | 22 |
| 18.ლეჩე | 23 | 4 | 6 | 13 | 22:38 | 18 |
| 19.ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13:31 | 16 |
| 20.ნოვარა | 23 | 3 | 7 | 13 | 20:42 | 16 |

ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.02 | ლევერკუზენი-აუგსბურგი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 18.02 | კაიზერი-გლადბახი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 18.02 | ნიურნბერგი-კიოლნი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 18.02 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 18.02 | ჰერტა-დორტმუნდი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 18.02 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 19.02 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 19.02 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.5 | 3.3 | 2.8 |

### ლევერკუზენი-აუგსბურგი

ლევერკუზენი: **ტრავმ**-სიდნეი სამი, ერენ დერდიოკი, ტრანკილიო ბარნეტა, რენე ადლერი

აუგსბურგი: **ტრავმ**-ნანდო რაფაელი, დაუდა, ბა

### კაიზერი-გლადბახი

კაიზერი: **ტრავმ**-ალექსანდერ ბუგერა

გლადბახი: **ტრავმ**-არავინ

### ნიურნბერგი-კიოლნი

ნიურნბერგი: **ტრავმ**-ვილსონ კამავუაკა, პერ ნილსონი, პატრიკ რაკოვსკი

კიოლნი: **ტრავმ**-ლუკაშ პოდოლსკი, ადილ ჩიჩი

### ჰამბურგი-ვერდერი

ჰამბურგი: **ტრავმ**-ჯეფრეი ბრუმა, მარკუს ბერგი, გოკჰან ტორე, რომეო კასტელენი

ვერდერი: **ტრავმ**-სებასტიან პროდი, ნალდო, აარონ ჰანტი, პრედრაგ სტევანოვიჩი, ტიმ ბოროვსკი

### ჰერტა-დორტმუნდი

ჰერტა: **ტრავმ**-ჰერტაფაბიან ლუცენბერგერი, კრისტიან ლელი, მაიკლ ფრანცი

დორტმუნდი: **ტრავმ**-სვენ ბენდერი, მარიო გიოტცე

### ფრაიბურგი-ბაიერნი

ფრაიბურგი: **ტრავმ**-ანტონ პუტსილა, პაველ კრმასი, გარა დემბელე, ჟულიან შუსტერი, მენსურ მუჯდა

ბაიერნი: **ტრავმ**-ბასტიან შვაინშტაიგერი, დანიელ ვან ბუიტენი, დიეგო კონტენტო

### შალკე-ვოლფსბურგი

შალკე: **ტრავმ**-ლუის ჰოლტბი, პეერ კლუგე, რალფ ფერმანი

ვოლფსბურგი: **ტრავმ**-იან პოლაკი, ალექსანდერ მადლუნგი, ტომას ჰიტსპერგერი, მიხაელ შულცი

### ჰანოვერი-შტუტგარტი

ჰანოვერი: **ტრავმ**-დიდიე კონან ია, ჰენინგ ჰაუგერი

შტუტგარტი: **ტრავმ**-ტიმო გებჰარტი, არტურ ბოკა, იბრაჰიმ ტრაორე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 14 | 4 | 3 | 46:14 | 46 |
| 2.ბაიერნი | 21 | 13 | 2 | 5 | 49:14 | 44 |
| 3.გლადბახი | 21 | 13 | 4 | 4 | 34:12 | 43 |
